

# special edition

Summer 2024
in London at
Frieze N9 Cork Str.

PROJECT IN FOCUS TBILISI INDEPENDENT

ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 07.2024


ზე გავლენა
ჩავ • არტ მიმოხილვა 07.2024
პროექტი ფოკუსში Tbilisi Independent

# შინაარსი content


REACH art VISUAL PRESENTS
წინასიტყვაობა 4
თეა გოგუაძე - აპფელი
**ხელოვნება და კულტურული გავლენები**

REACH art VISUAL PRESENTS
FOREWORD 6
THEA GOGUADZE-APFEL
**ART AND CULTURAL RESONANCE**

REACH art VISUAL PRESENTS
ინტერვიუ 7
სელვი მეი აკილდიზთან
**TBILISI INDEPENDENT-ის შესახებ**

REACH art VISUAL PRESENTS
INTERVIEW 8
In conversation with
SELVI MAY AKYILDIZ -
**ABOUT TBILISI INDEPENDENT**

REACH art VISUAL PRESENTS
ინტერვიუ 9
ბიორნ სტერნთან
**TBILISI INDEPENDENT-ის შესახებ**

REACH art VISUAL PRESENTS
INTERVIEW 11
In conversation with
BJORN STERN
**ABOUT TBILISI INDEPENDENT**

REACH art VISUAL PRESENTS
ხელოვნებათმცოდნის ბლოგი 12
მარიამ შერგელაშვილი
**TBILISI INDEPENDENT**

REACH art VISUAL PRESENTS
BLOG BY ART HISTORIAN 21
MARIAM SHERGELASHVILI
**TBILISI INDEPENDENT**

REACH art VISUAL PRESENTS
ORGANIZER GALLERIES 30

| | |
|---|---|
| Ch64 | 31 |
| THE WHY NOT გალერეა | 36 |
| 4710 | 44 |
| E.A. SHARED SPACE | 47 |
| MAUDI | 51 |

REACH art VISUAL PRESENTS
ORGANIZER GALLERIES 30

| | |
|---|---|
| Ch64 | 34 |
| THE WHY NOT GALLERY | 41 |
| 4710 | 46 |
| E.A. SHARED SPACE | 49 |
| MAUDI | 52 |

# ხელოვნება & კულტურული გავლენები

REACH art VISUAL ART consulting company **PRESENTS**

## წინასიტყვაობა

## თეა გოგუაძე-აპფელი

**Summer 2024, London**

**FRIEZE**



**Tbilisi Independent Exhibition**

REACH art VISUAL
ART consulting company

თეა გოგუაძე-აპფელი, „რიჩ არტ ვიზუალის“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი.

ხელოვნება ეპოქის კულტურული დიალოგის განვითარებას ემსახურება. შესაბამისად, „რიჩ არტ ვიზუალის“ საქმიანობა მხოლოდ სახელოვნებო სივრცეში სარეკომენდაციო ან საკურატორო საქმიანობით არ შემოიფარგლება. ჩვენი ინტერესი საგამოფენო დარბაზების კედლებს სცდება და ფართო კულტურულ დიალოგში აქტიურ მონაწილეობას ისახავს მიზნად, რაც ხელოვანებსა და აუდიტორიას შორის კავშირების გაღრმავებას ემსახურება.

2024 წლის ივლისში, ლონდონის Frieze N9 Cork Street-ში ჩვენი მონაწილეობით შექმნილი გამოფენა - Tbilisi Independent - მოწმობს, რომ ქართული ხელოვნების ცნობადობა მსოფლიოში თანდათან იზრდება. ჩვენი კულტურული ტრადიცია, რომელიც ახალ და დინამიკურ ფენომენად მოგვევლინა, საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო დიდ ყურადღებას იქცევს.

თანამედროვე ხელოვნებაში ქართველი არტისტები წარმოადგენენ უნიკალურ ხმას, რომელიც მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას ეფუძნება და, იმავდროულად, ჩვენი ეპოქის მწვავე საკითხებსაც ეხმიანება. ალექსანდრე ბანძელაძის, თამუნა სირბილაძისა და ლია ბაგრატიონის ნამუშევრები, რომლებიც Tbilisi Independent-ზე წარვადგინეთ კურატორ ნინი დარჩიასთან თანამშრომლობით, სწორედ ადგილისა და ისტორიის მძლავრი შეგრძნებებით არის გაჯერებული. ქართველი ხელოვანები იმ ტრადიციის მატარებლები არიან, რომელიც წარსულსა და აწმყოზე მოგვითხრობს და დამთვალიერებელს უბიძგებს, ჩაუღრმავდნენ თემებს, რომლებსაც საზღვრები და დროითი განზომილება არ გააჩნია.

ქართული ხელოვნების მნიშვნელობას, ბუნებრივია, მხოლოდ ლონდონის „ფრიზის“ მსგავს პრესტიჟულ სივრცეებში წარმოდგენა არ განსაზღვრავს. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ხელოვნება ხშირად სოციალური ცვლილების ანარეკლია, ხელოვანებს საქართველოდან განსხვავებული პერსპექტივა შემოაქვთ, რომელიც უნიკალური კულტურული ლანდშაფტითა და მედეგობის გასაოცარი ისტორიით არის შთაგონებული. სწორედ ეს კულტურული პლასტი იპყრობს ყურადღებას და კოლექციონერებსა და კურატორებს ტრადიციული კულტურული ცენტრების მიღმა გახედვის სურვილს უჩენს.





„რიჩ არტ ვიზუალში” გვჯერა, რომ ხელოვნების ღირებულების ნამდვილი საზომია ის, თუ რამდენად შესწევს მას ძალა, გამოიწვიოს, შთააგონოს ადამიანი და შექმნას კულტურული მემკვიდრეობა. „ფრიზის“ Tbilisi Independent-ის მსგავს მასშტაბურ ღონისძიებებში ჩვენი მონაწილეობა მხოლოდ ქართული ხელოვნების წარმოჩენას არ ემსახურება; ჩვენი მიზანია, საქართველოში მოღვაწე ხელოვანები თანამედროვე მსოფლიო კულტურული დიალოგის ეპიცენტრში მოვაქციოთ. მზარდი საერთაშორისო აღიარება მოწმობს, რომ მსოფლიო ხელოვნება მზადაა, ფართოდ გაუღოს კარი ქართული ხელოვნების ნიუანსებსა და სიღრმეს და საკუთარი ადგილი განუსაზღვროს თანამედროვე კულტურის მუდმივად ცვალებად ნარატივში.

ჩვენი მიზანი სწორედ ამ კულტურული დიალოგის ხელშეწყობაა. დაგეგმილი გვაქვს ახალი, ამბიციური პროექტები და ხელოვანებთან თანამშრომლობა. დარწმუნებული ვართ, ქართული ხელოვნება საერთაშორისო ასპარეზზე თავის ღირსეულ სიტყვას იტყვის, “რიჩ არტ ვიზუალი” კი ამ პროცესს  მომავალშიც აქტიურად დაუჭერს მხარს.





# FRIEZE ART AND CULTURAL RESONANCE

**THEA GOGUADZE-APFEL**

Founder & CEO of Reach Art Visual

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

## FOREWORD

The power of art lies in its ability to shape and reflect the cultural dialogues of its time. At Reach Art Visual, we see our role not merely as advisors or curators but as active participants in these dialogues, fostering connections between artists and audiences that extend far beyond the gallery walls. Our recent participation in the Frieze N9 Cork Street's exhibition *Tbilisi Independent* in July 2024 serves as a testament to the changing global perception of Georgian art—a tradition that has evolved into something fresh and dynamic, now gaining increased recognition on the international stage.

Georgian artists offer a unique voice in contemporary art, one that draws from a deep cultural heritage while addressing the pressing issues of today's world. The works by renowned artists Alexander Banzeladze, Tamuna Sirbiladze, and Lia Bagrationi, which we presented at Tbilisi Independent in collaboration with curator Nini Darchia, encapsulate a profound sense of place and history.

These artists carry forward a tradition that speaks to both the past and the present, inviting viewers to explore themes that transcend borders and time.

The significance of Georgian art is being recognized not only through its presence at prestigious forums like Frieze but through those meaningful conversations it stimulates. In a world where art often serves as a mirror to societal change, Georgian artists are contributing a distinctive perspective, one shaped by a complex and distinct cultural landscape and a history of resilience. This cultural contribution is what attracts international attention, prompting collectors and curators alike to look beyond established centers of influence.

At Reach Art Visual, we believe that the true value of art lies in its ability to challenge, inspire, and foster an enduring cultural legacy. Our participation in events like Tbilisi Independent at Frieze is not only about showcasing art; it is about positioning Georgian artists at the heart of ongoing cultural conversations. The increasing global recognition is a sign that the world is ready to embrace the nuance and depth of Georgian art, reaffirming its place in the ever-expanding narrative of contemporary culture.

Looking ahead, we are committed to fostering future cultural dialogues. Reach Art Visual is a firm believer in Georgian art and the power of its cultural impact. With upcoming exhibitions and new artistic collaborations on the horizon, we will make every effort to put Georgian art into the international spotlight, confident that its significance will soon speak for itself.




# გავლენა

## საუბარი FRIEZE No.9 Cork Street-ის დირექტორთან,

# სელვი მეი აკილდიზთან

## Tbilisi Independent-ის შესახებ

**შეგიძლიათ გვიამბოთ, როგორ ჩამოყალიბდა Tbilisi Independent-ის პროექტის იდეა? რა იყო Frieze-ის მოტივაცია, როცა ეს ინიციატივა წამოიწყო?**

წარმოშობით თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გახლავართ და ყოველთვის მსურდა, მეტი გამეგო ქართველ მეზობლებზე. შარშან გამიმართლა და სტამბოლში გავიცანი გალერისტები - გვანცა ჯიშკარიანი და ნინი დარჩია. მას შემდეგ, კონტაქტი არ გაგვიწყვეტია. მეშვიდე ცაზე ვიყავი სიხარულით, როცა Tbilisi Independent შედგა და Frieze No.9 Cork Street-მა ქართული გალერეებისა და საგამოფენო სივრცეების ჯგუფს ჩვენს გალერეაში გამოფენის მოწყობა შესთავაზა.

**გაგვიზიარეთ, როგორ მოხდა თბილისის გალერეებისა და ორგანიზატორთა შერჩევა? რა იყო მთავარი პრინციპი?**

Frieze-ში განსაკუთრებით გვაინტერესებს გლობალური დიალოგი და რეპრეზენტაცია. ჩემთვის განსაკუთრებით ხაზგასასმელი იყო წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშებთა ხარისხი და მედიუმების მრავალფეროვნება: ფერწერა, კერამიკა, სკულპტურა და თექის ნამუშევრები ერთმანეთის გვერდით გამოიფინა.

**აღსანიშნავია, რომ Tbilisi Independent-ში მონაწილე გალერისტთა უმრავლესობა ქალია და ორმოც წელზე ახალგაზრდა.**

**როგორც გამოფენის მთავარი ინიციატორი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული Tbilisi Independent-ის პროექტში, რა შეცვალა საქართველოსა და თბილისის სახელოვნებო სივრცის თქვენეულ აღქმაში ამ გამოფენამ? თანამედროვე ქართული ხელოვნებისა და კულტურის რომელ კონკრეტულ ასპექტს გამოარჩევდით?**

ნამდვილად აღტაცებული ვარ ქართული სახელოვნებო სივრცით და, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ ის საერთაშორისო ასპარეზზეც წარმოვაჩინეთ. მოუთმენლად ველით გალერეა ArtBeat-ს წელს, Frieze London-ზე და LC Queisser Frieze New York-ის რედაქტორთა სიაშიც შევიყვანეთ. განსაკუთრებით მაინტერესებს ის, თუ როგორ უდგანან ერთმანეთს მხარში თბილისის გალერეები და რამდენი ქალი ლიდერია ამ საქმეში. გასაოცარი და შთამბეჭდავია, რომ ისეთი პატარა ქვეყნის სახელოვნებო სფერო, რომლის მოსახლეობაც სულ ოთხი მილიონია, ასეთ დიდ საერთაშორისო პლატფორმაზეა წარმოდგენილი.

**თქვენი აზრით, რა გავლენა ექნება Tbilisi Independent-ის პროექტს ლონდონის სახელოვნებო სივრცესა და საზოგადოებაზე?**

Tbilisi Independent-ზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა ლონდონის სახელოვნებო საზოგადოებას ქართული სახელოვნებო სივრცე გააცნო და ბევრს თბილისის მონახულების სურვილიც გაუჩინა. მომავალ წელს Tate-ის მუზეუმი მათი პატრონაჟის საბჭოს წევრებისთვის თბილისში ვიზიტის ორგანიზებას გეგმავს და აღფრთოვანებული იყვნენ, რომ ჩამოსვლამდე ერთგვარი შესავალი იხილეს. გამოფენის მსვლელობისას, ბევრი ვიზიტორი მონაწილეებს ესაუბრა და საქართველოში სტუმრობაც დაგეგმა. Frieze No.9 Cork Street მომავალშიც გეგმავს Tbilisi Independent-თან მუშაობას. ყურადღებით გვადევნეთ თვალი!

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

INTERVIEW

# ZE GAVLENA interview about TBILISI INDEPENDENT

IN CONVERSATION WITH

## SELVI MAY AKYILDIZ -

DIRECTOR FRIEZE NO.9 CORK STREET




**Can you tell us about the inception of theTbilisi Independent project? What motivated Frieze to embark on this initiative?**

I am from northeastern Turkey and have always been curious to know more about my Georgian neighbors. Last year I was fortunate to meet gallerists Gvantsa Jishkariani, Nini Darchia in Istanbul and we kept in touch. I was over the moon when Tbilisi Independent was formed and Frieze No.9 Cork Street could invite the collective of galleries and project spaces to apply for an exhibition at the gallery.

**Could you describe the process of selecting Tbilisi based galleries and organizations for this project? What were the key considerations?**

At Frieze we are particularly interested in global dialogues and representation. What stood out to me was the quality of the artworks submitted and the variety across mediums; painted artworks, ceramics, sculpture and felt works were exhibited side by side.

It was notable that many of the gallerists in Tbilisi Independent were mostly women and under the age of forty.

**As a key initiator deeply involved in the Tbilisi Independent project, how has your personal appreciation of Georgia and the Tbilisi art scene evolved throughout this initiative? What aspects of Georgian contemporary art and culture have particularly resonated with you?**

I am really fascinated by the Georgian art scene and think it is remarkable that it has reached an international stage. We are thrilled to be welcoming Gallery ArtBeat to Frieze London this year and have included Ic queisser in editions of Frieze New York. I am particularly interested in how the galleries in Tbilisi work to support each other and how many of the spokespeople are women. For a country with a population of 4 million it is exciting and impressive to see the local art scene hit an international platform.

**What impact do you hope the Tbilisi Independent project will have on the London art scene and community?**

Tbilisi Independent showcased artworks that provided the London art scene with an insight into the Georgian art scene and also encouraged many visitors to visit Tbilisi. The Tate has a visit planned to Tbilisi next year for their patrons and they were excited to get a taster ahead of their visit. Many visitors spoke with the exhibitors and planned visits to Georgia. Frieze No.9 Cork Street has future plans to collaborate with Tbilisi Independent again in the future, watch this space!

# ჯ გავლენა-ს ინტერვიუ

# TBILISI INDEPENDENT-ის შესახებ ბიორნ სტერნთან



ესაუბრა მარიამ შერგელაშვილი

**ლონდონში, კულტურის მენეჯმენტის სფეროში თქვენი ხანგრძლივი გამოცდილების გათვალისწინებით, როგორ შეაფასებდით TBILISI INDEPENDENT-ზე ქართული ხელოვნების წარმოდგენის მნიშვნელობას?**

ვფიქრობ, ვიზუალური კულტურის კომუნიკაციის პლატფორმად ლონდონის შერჩევა, სწორი გადაწყვეტილება იყო. ნიუ-იორკის შემდეგ, ის თანამედროვე ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი გახლავთ. ამასთან, ლონდონში ხუთასზე მეტი მუზეუმი და ასეუ-ლობით კომერციული გალერეა, უამრავი თეატრი და მსოფლიო მაშტაბის სცენაა. ნიუ-იორკი ერთგვარი კულტურული მოზაიკაა, ლონდონში კი ყველაფერი ერთმანეთზეა დაშენებული, რაც კულტურული გაცვლისათვის უაღრესად ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის. ისტორიულად, ლონდონი სავაჭრო ცენტრიც გახლდათ, ამიტომ აქ ხელოვნების სამყაროსა და ხელოვნების ბაზრის თანაარსებობა ორგანულად აღიქმება. ოცდაათ წელზე მეტია, ხელოვანთა მენეჯმენტში ვსაქმიანობ. წლების მანძილზე, ხელოვნების ბაზარზე უამრავი მოძრაობისა და კულტურის აღმასვლისა და პოპულარობის მოხვეჭის პროცესი მინახავს. ორი ათწლეულის წინ, პოპულარობის ზენიტში ინდოეთი და ჩინეთი იყვნენ, ათი წლის წინ - ახლო აღმოსავლეთი, მოგვიანებით - აფრიკა. როცა ყურადღების ცენტრში სპეციფიკური ვიზუალური კულტურა ექცევა, ამ ყურადღებამ, შესაძლოა, მისი უნიკალურობა დააზიანოს და გაანადგუროს კიდეც. ბოლო ათწლეულებში ეს ხშირად მომხდარა, ამიტომ ამ ორლესულ მახვილს ფრთხილად უნდა მოვეპყრათ, განსაკუთრებით, საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნის შემთხვევაში, რომლის უნიკალური სპეციფიკა ხელოვნების

გლობალურმა ტენდენციებმა იოლად შეიძლება გააუფერულოს, თუკი სიფრთხილეს არ გამოვიჩენთ. ვფიქრობ, Tbilisi Independent-მა ლონდონელებსა და საერთაშორისო აუდიტორიას საქართველოს შემოქმედებითი ვიზუალური პროდუქციის ძალიან კარგი საეტაპო სელექცია უჩვენა. ჩემი აზრით, ნაადრევია იმის თქმა, იქცევა თუ არა საქართველო ტრენდულად. ლონდონის მსგავს ადგილებში აღიარების მოსაპოვებლად, განმეორებითი ძალისხმევა მნიშვნელოვანია.

## TBILISI INDEPENDENT-ის რომელ კონკრეტულ ასპექტს გამოარჩევდით?

გამოფენის მსვლელობისას, რომელიც ლონდონის თანამედროვე ხელოვნების ეპიცენტრში - Frieze 9 Cork Street-ის სამ გალერეაში გაიმართა, შერჩეულ ნამუშევრებში - ტრადიციული ზეთის საღებავებით შესრულებულ ტილოებში, ქაღალდზე ტაქტილურ ნამუშევრებში, ქვის მოზაიკასა თუ თექის გობელენებში, მატერიალურობის მძლავრი განცდა იგრძნობოდა; შეიძლება, გამოუცდელ თვალს მყისიერად ვერ შეემჩნია, თუმცა წარმოდგენილ ნამუშევრებს რეალიზმის შეფარული განცდა გამოარჩევდა. იქ არ ყოფილა მავანთა მეგალომანიური ესკაპადა, აშკარად კომიკური თუ აუდიტორიის შოკირებაზე გათვლილი ნამუშევრები, რასაც გამოფენებზე ხშირად წააწყდებით, როცა ავტორები ყურადღების მიქცევას ცდილობენ. ქართული ხელოვნების გამოფენაზე მსგავსი რამ არ ყოფილა. გამოფენა დამთვალიერებელს ერთგვარ ღირსებას სთავაზობდა, რომლითაც ეს მხატვრები საკუთარ ნამუშევრებს ქმნიან. ყურადღების მიპყრობაზე გათვლილი ეფექტები არც კურატორებს შეურჩევიათ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან გამოფენის კურატორი ქალთა ხუთი გალერეა გახლდათ და ყველაფერი სათუთად და გონივრულად იქნა შერჩეული. სწორედ ეს მომეწონა ყველაზე მეტად. იმედი მაქვს, დამთვალიერებელმაც სათანადოდ აღიქვა ეს ჩუმი და, იმავდროულად, ამბიციური განზრახვა, რომელიც სხვადასხვა ხელოვანმა საკუთარ ნამუშევრებში შემოგვთავაზა.

## თქვენი აზრით, რა პოტენციური გავლენა ექნება პროექტს საქართველოსა და ხელოვნების საერთაშორისო სივრცეს შორის კულტურულ დიალოგზე ლონდონში?

მჯერა, რომ მსგავს პროექტებს, თუკი მათ კარგი მენეჯმენტი და კონ-კრეტული მიზანიც გამოარჩევთ, კულტურული ხიდების მშენებლობის უნარი შესწევთ, განსაკუთრებით ისეთი ფორმატის შემთხვევაში, რომელიც დამთვალიერებლის ინტელექტუალურ ზრდას უწყობს ხელს და კომერციული განზომილებაც აქვს. საქართველოს, მისი სიმცირის მიუხედავად, გაცილებით დიდი კულტურული რეზონანსის პოტენციალი აქვს, რადგან ბოლო დრომდე ქართველ ხელოვანებსა და მათი შემოქმედების სპეციფიკას საერთაშორისო ასპარეზზე ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ეს, ერთდროულად, კარგი შესაძლებლობაცაა და დიდი გამოწვევაც და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ქვეყნის ოფიციალური კულტურის პოლიტიკა, რამდენად კარგად და სწორად იმართება ეს სფერო, აბალანსებს თუ არა კერძო ინიციატივა და ფილანტროპია სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკას საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ნათლად იგრძნობა სახელმწიფო მეთაურების ვიზიტების დროსაც, თუნდაც იმით, თუ ვინ დგას ლიდერის გვერდით. მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტი, დიდი ალბათობით, გვერდით კულტურის მინისტრს ამოიყენებს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი – ფინანსთა მინისტრს, შეერთებული შტატების პრეზიდენტი კი – სახელმწიფო მდივანს, რომელიც საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი. ვინ საუბრობს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს სახელით ვიზუალურ კულტურაზე? რამდენიმე ქართველმა ხელოვანმა - ძირითადად, დიასპორის წარმომადგენლებმა - ბოლო წლებში საერთაშორისო ასპარეზზე ყურადღება მიიქცია. მათ შორის არიან: თამო ჯუღელი, პარმენ დაუშვილი და კარლო კაჭარავას მემკვიდრეობა. მათ გარდა, ბევრი საოცარი ხელოვანია, რომელთა ხმაც საერთაშორისო სახელოვნებო წრეებსა და ბაზრებზე ჯერ არ სმენიათ. მაგალითად, ალექსანდრე ბანძელაძე. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული ხელოვნების დაჟინებული, კოლაბორაციული და ამბიციური პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე, კერძოდ ლონდონში, ძალიან ნაყოფიერი შეიძლება იყოს და ეს გამოფენა მხოლოდ დასაწყისია. დიდი ენთუზიაზმით ველით ლონდონში სხვა ნამუშევრების ხილვასაც.



# ZE GAVLENA interview about TBILISI INDEPENDENT

## In conversation with BJORN STERN

**- Given your extensive experience as a cultural manager in London, how do you perceive the significance of representing art from Georgia within the TBILISI INDEPENDENT show?**

**A:** I think London as a platform for communicating visual culture was well chosen. It is the second most important global hub for contemporary art, after New York and London has the privilege to host over five hundred museums and several hundred commercial galleries alongside great theatre and performance venues. Where New York is always considered a mosaic of cultures, London is a melting pot where everything is stacked on top of everything else and that creates a very fertile ground for cultural exchange. London is historically also a mercantile place so people are at ease when they address the cohabitation of the art world and the art market. As an artists manager with over thirty years experience I have seen various movements and cultures rising to the surface and becoming highlighted in the art market over the years. Two decades ago it was all about India and China, followed by the Middle East a decade ago and Africa more recently. When specific visual cultures come into focus it also attracts attention but attention also disrupts specificity and can even destroy it. That has happened a lot with specificity in art over the past decades so it's a sword with two ends that should be handled carefully, especially for a small country like Georgia who's unique specificity in the art world can easily be overrun by the generic international art-mainstream if not addressed with care. I believe that a show such as Tbilisi Independent has given the London audiences, who are also international at large, a very good introduction to a selection of creative visual production from Georgia. Whether it may start a trend or not, is too early to say in my point of view. Repeated efforts are rewarded in places like London as it provides a path to recognition.

**- What particular aspects of TBILISI INDEPENDENT have resonated with you the most?**

**A:** Throughout the exhibition, which took place across the three gallery spaces of Frieze 9 Cork Street in the epicenter on the London contemporary art map, there was an acute sense of materiality that prevailed throughout the selected works, ranging from traditional oil paintings to tactile works on paper, stone mosaics and wool tapestries and while it might not have been immediately apparent to an untrained eye, the works on display all had a sense of understated self-awareness. There were no individual megalomaniacal proposals or outright preposterous and shocking art works, which one can sometimes find in exhibitions where seeking short term attention is paramount. None of that was present in this cross section of Georgian art. The exhibition led the audiences to suggest that there was a certain dignity in which the artists seemed to carry their practices and that any attention grabbing affect had been carefully curated out of the show. It's not surprising that the curation came from five women operated galleries as it was done sensitively and sensibly. I liked that a lot about the show and I hope the audiences understood the quiet, yet irreverent, intentions that the various artists proposed with their works.

**- Could you share your overall commentary on the impact and potential of this project in bridging cultural dialogues between Georgia and the international art scene in London?**

**A:** I believe that projects like this, when well managed and purposeful, can build cultural bridges and especially if presented in formats that engage the audiences to promote intellectual (and commercial) growth side by side. Georgia has a potential, as a small country to make a bigger impact than its proportionate cultural production, simply because there has been little attention paid to any specificity coming from Georgian artists on the international stage until very recently. This can be both an opportunity and a handicap depending on factors of official cultural policy and whether it is well managed or if there is good proportion between private initiative and philanthropy to balance official state cultural policies on the international stage. One can see this clearly at heads of state visits around the world by whom stands next to the leader, for instance, the president of France would likely bring along its minister of culture and the Prime minister of the U.K. would bring along its minister of finance and finally the US president would bring along its Secretary of State responsible for foreign policy and security. So who gets to speak about visual culture on the international stage on behalf of Georgia? A few Georgian artists, largely from the diaspora have gained international visibility in recent years such as Tamo Jugeli, Parmen Daushvili and the estate of Karlo Kacharava. But there are some terrific artists whose voices in the international artistic canon and markets are yet to be inserted such as Alexandre Bandzeladze. I believe with persistent, collaborative and irreverent promotion of Georgian art on an international stage such as London could prove very fertile indeed and we have only just now been given a small taste of it here. We are eagerly waiting to see more.

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

ხელოვნებათმცოდნის ბლოგი

# მარიამ შერგელაშვილი

# TBILISI INDEPENDENT



Tbilisi Independent ხუთი დამოუკიდებელი გალერეის - „ე.ა. საზიარო სივრცე“, „მაუდი“, „გალერეა 4710“, „სიეიჩ 64“ და „The Why Not გალერეა“ - ინიციატივაა, რომელიც ლონდონის Frieze-ის მუდმივმოქმედ საგალერეო სივრცეში სახელოვნებო ორგანიზაცია „R.A.V. რიჩარტ ვიზუალთან“ თანამშრომლობით განხორციელდა. საერთაშორისო სახელოვნებო რუკაზე ქართული თანამედროვე ხელოვნების მონიშვნა ლონდონში, თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ სივრცეში, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

გამოფენაზე განსხვავებული ხედვისა და თაობის ხელოვანთა შემოქმედება იყო წარმოდგენილი, მათ შორის, ალექსანდრე ბანძელაძის, ლია ბაგრატიონის, ანუკ ბელუგას, საბა გორგოძის, მერაბ გუგუნაშვილის, ნატა ვარაზის, ნინიკო მორბედაძის, თამარ ნადირაძის, თამუნა სირბილაძის, გვანცა ჯიშკარიანის, გიორგი ხანიაშვილის, მარიანა ჭყონიასა და სახელოვნებო კოლექტივის - Temple Pharmacy-ს ნამუშევრები.

რას ჰყვება თანამედროვე ხელოვნება ქვეყანაზე, რომელიც სოციოპოლიტიკური განვითარების ტურბულენტურ ეტაპს გადის? საქართველოს უახლესი წარსული, 70-წლიანი საბჭოთა იზოლაციის შემდეგ აღდგენილი სახელმწიფოებრიობა, – ის არამდგრადი მოცემულობაა, რომელშიც ჩვენს საზოგადოებას უწევს განვითარება. ამ მოცემულობას სხვადასხვა პერიოდში ხელოვნებაც განსხვავებული მგრძნობელობითა და ესთეტიკით ეხმიანებოდა. ხელოვნება, რომელიც ხშირად თვითძიების, სამყაროსთან ურთიერთობის ახალი ფორმისა და აღქმების დამკვიდრებისათვის ამბოხია, ესთეტიკის, შემეცნებისა და შეგრძნებების ფართო სპექტრს

**Summer 2024, London**

**FRIEZE**

**TBILISI INDEPENDENT Exhibition**

აერთიანებს. Tbilisi Independent, თავისი ეკლექტური ხასიათით, ქვეყნის ზოგად კულტურულ დინამიკასაც ეხმიანებოდა და, იმავდროულად, საკუთარი პრიზმიდან წარმოადგენდა დამოუკიდებელი გალერეების მიერ შერჩეულ ხელოვანთა შემოქმედებას.



კომპოზიცია, 1989
**ალექსანდრე ბანძელაძე**

გალერეის პირველ სივრცეში „R.A.V. რიჩარტ ვიზუალმა" ქართული აბსტრაქციონიზმის სხვადასხვა პერიოდი წარმოადგინა. ალექსანდრე ბანძელაძის, თამუნა სირბილაძისა და ლია ბაგრატიონის ხელოვნება კერძო კოლექციებში დაცული ნამუშევრებით, აკადემიურ ფორმატში იყო მოცემული. ალექსანდრე ბანძელაძე, როგორც ქართული აბსტრაქტული ფერწერის ერთ-ერთი ნოვატორი, 1989 წელს შესრულებული ორი მასშტაბური ნამუშევრით იყო წარმოდგენილი. ბანძელაძის მოღვაწეობა 1960-იან წლებში, საბჭოთა პერიოდში დაიწყო. მის შემოქმედებაში ცენზურისა და საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ ამბოხი სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა. ბანძელაძეს გამორჩეული როლი აქვს 1980-იანი წლების ექსპერიმენტულ ინიციატივებში. ხელოვანი არაფორმალურად ხელმძღვანელობდა იმ პერიოდის ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ალტერნატიული ხელოვნების განვითარებაში. ბანძელაძის შემოქმედებითი ხედვა და სტილი საოცრად ფართოა. საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ ეტაპობრივად ვითარდება მის შემოქმედებაში არაფიგურატიული კომპოზიციები, როგორ თანდათან დეკონსტრუირდება საგნობრივი მოტივები. 1980-იანი წლებიდან, ბანძელაძის აბსტრაქტულ ნამუშევრებში ფერის სრულიად მისეულ შეგრძნებას ვხედავთ. მხატვრის ამ პერიოდის ნამუშევრები ისეთ მნიშვნელოვან კოლექციებშია დაცული, როგორიცაა, მაგალითად, ზიმერლის მუზეუმი (რატგერსის უნივერსიტეტი, აშშ). ბანძელაძის გვიანდელი 1980-იანი წლებში შესრულებული არაფიგურატიული ნახატები, მხატვრის შემოქმედებაში ძიებისა და დაკვირვების ის ფაზაა, რომელიც ფერის ღრმა, რბილი დენადობით გამოირჩევა. ამ პერიოდისა და სტილის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში, „მთვრალი ნოეს სიზმარი", რომელიც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, რელიგიური მოტივებით გამოწვეულ შთაგონებას ასახავს. ნამუშევარი სიუჟეტურ თუ ბიბლიურ ინტერპრეტაციას სცდება და აბსტრაქტულობის წარმოსახვით შრეებს ბანძელაძისეული ხედვით წარმოგვიდგენს.

აბსტრაქციის, როგორც უხილავ, ინტუიტიურ შრეებთან გათამაშების, ერთგვარ გამოცდილებას წარმოადგენდა თამუნა სირბილაძის ნახატების სერია, რომელიც 2015 წელს, მხატვ-





თამუნა სირბილაძე, 2015



კერძოდ ვენაში, გააგრძელა მოღვაწეობა; 2003 წელს დაასრულა ვენის აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, სადაც მისი მასწავლებელი ფრანც გრაფი იყო; ასევე სწავლობდა ლონდონში, სახვითი ხელოვნების სკოლა Slade-ში.

სირბილაძის მხატვრული შემოქმედება აბსტრაქციის უნიკალური სტილით გამოირჩევა. მასში ერთმანეთს ერწყმის ექსპრესიული დინამიზმი და ფორმისა და ფერის ინტიმური მგრძნობელობა. სირბილაძე ხშირად სექსუალობის, მსხვრევადი, მყიფე შინაგანი შეგრძნებების მომენტალურ ესთეტიზაციას ახდენს. სირბილაძის ოჯახის კოლექციიდან გამოფენაზე წარმოდგენილი გვიანდელი პერიოდის ნამუშევრები გადაუჭიმავ ტილოზე შესრულებული, ფაქიზი, პროცესუალურად განგრძობადი ნახატებია, რომლებშიც ადამიანის ემოციურ სიღრმეებთან აბსტრაქციის ჰარმონიული კავშირია ასახული.



ლია ბაგრატიონი

აბსტრაქტულის სრულიად განსხვავებული მგრძნობელობაა მოცემული თანამედროვე ვიზუალური ხელოვანის, ლია ბაგრატიონის, 2022-2023 წლების სერიაში. მასში აბსტრაქციის, როგორც ფერისა და პეიზაჟის, ისტორიულ-მხატვრული გამოცდილების სუბიექტური ანალიზია მოცემული. „ხედი ჩემი ფანჯრიდან“ ლია ბაგრატიონის პირად ესთეტიკურ დაკვირვებაზე აკეთებს აქცენტს, რომელიც მხატვრის სახელოსნოსა და მის ირგვლივ არსებულ გარემოს ერთმანეთთან აკავშირებს. მკაფიო, კონტრასტული ფერების ცვალებადობა განწყობებისა და შინაგანი აღქმის იმ ასპექტებს უკავშირდება, რომლითაც ლია ბაგრატიონი საკუთარ კონცეფციას ავითარებს. ფანჯარა, როგორც ჰორიზონტის შემომსაზღვრელი მოცემულობა, ტილოზე გადმოდის და მხატვრის უსაზღვრო წარმოსახვის კალეიდოსკოპურ, აბსტრაქტულ პეიზაჟებს ქმნის. ფერის ნატიფი მგრძნობელობით, ლია ბაგრატიონი, რომლის მთავარი მედიუმიც თიხაა, ამჯერად ფერწერის საშუალებით გადმოგვცემს გარემოზე დაკვირვების მისეულ პერსპექტივას.

ლია ბაგრატიონის მთავარი შემოქმედებითი მედიუმი თიხაა. მისი სახელოვნებო პრაქტიკა ამ მასალაში ჩამოყალიბდა. გამოფენაზე, ფერწერულ ნამუშევრებთან ერთად, წარმოდგენილი იყო თიხის ობიექტების ადრეული სერიები - „დეკადენ-სი“(Decadence) და „გამქრალ ქალაქთა ანარეკლი“ (Mirror Reflections of Vanished Cities). თიხის სკულპტურებში ხელოვანი ასევე აბსტრაქტული ფორმებით ტვირთავს მასალას და ნამუშევარს სივრცულად, მეტაფორული კონტექსტით გამოსახავს.





აბსტრაქციონიზმი, როგორც ხედვა და ესთეტიკური მიდგომა, გამოფენის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო, რომელიც ახალგაზრდა ხელოვანის, სოფო კობიძის, ნამუშევრებში კიდევ უფრო განივრცო. კობიძის ხელოვნება გალერეა „მაუდმა“ წარმოადგინა. სოფო კობიძემ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაამთავრა და აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მედიუმით. გამოფენაზე მის მიერ 2022 წელს შესრულებილი აბსტრაქტული ნამუშევრები ვიხილეთ. აღნიშნული სერია სრულიად განსხვავებული და თვითმყოფადია. მასში ტონის, ფერის გრადაცია ერთდროულად შეუმჩნეველიცაა და მოცულობითიც. ფერების გარდასახვა, სიღრმე და ერთგვარი ლივლივიც საოცარი მგრძნობელობით არის გადმოცემული და მორენულ ნაფენებსა თუ მაგმურ ქანებს მოგვაგონებს, სადაც ერთმანეთთან არის შეზრდილი არქაულობა და დღევანდელობა.

ფაქტურულობა, ტექსტურა, მასალასთან, როგორც ბუნებრივ მატერიასთან, ურთიერთობა განივრცო მარიანა ჭყონიას ტექსტილის ნამუშევრებში, რომელსაც გალერეა „ე.ა. საზიარო სივრცე“ წარადგენდა. მარიანა ჭყონიას თექის მასშტაბური ქსოვილები, ფერისა და ფორმის, როგორც აბსტრაქტული მიმდინარეობის, არსებით მიმართებას ეხმიანება. ტექსტილი მშრალი და სველი თექის ტრადიციული მეთოდით არის შექმნილი. სივრცითი განზომილებებისა და ტაქტილური თვისებების აქცენტირებით, ხელოვანი მატყლისა და ნედლი აბრეშუმის გამოყენებით იკვლევს მატერიალურობის საზღვრებს. ტაქტილური კვლევა ხაზს უსვამს მასალების თანდაყოლილ თვისებებს და, იმავდროულად, ქსოვილს კედლის სკულპტურულ ობიექტებად წარმოადგენს. მარიანა ჭყონიას ნამუშევრები თექის დამუშავების ტრადიციულ ტექნიკას კონცეპტუალურად იაზრებს და ტექსტურის, ფორმისა და სივრცის ნიუანსურ კვლევას ეფუძნება.

თექის ტრადიციულ მედიუმს ექსპერიმენტული მიდგომით ავითარებს ახალგაზრდა ხელოვანი და გალერისტი, „The WHY NOT გალერეის“ თანადამფუძნებელი, გვანცა ჯიშკარიანი, რომელიც Tbilisi Independent-ის თანაორგანიზატორი და მონაწილე გახლავთ. მისი ნამუშევარი – „ლამაზი სამყარო შენთან ერთად“ (2023) – სიურეალის-ტურ მოტივებს ხელოვანისათვის ორგანული ფერადოვანი ვიზუალური აქცენტებით გადმოგვცემს. გვანცა ჯიშკარიანი თექისათვის ქართულ და მერინოსის მატყლს იყენებს. ის სახასიათო თამაშის ფორმით აღვიძებს შინაგან სამყაროს, სადაც ფანტასტიკა და რეალობა ერთმანეთს ერწყმის. ცოცხალი ფერები და რბილი კონტურები მაყურებელს იწვევს პირად, თითქმის მისტიკურ ნარატივში, რომელიც ავტორის ემოციებსა და წარმოსახვით ძიებას განასახიერებს. მულტიმედიურ ექსპერიმენტებს ხელოვანი წარმატებით ახორციელებს არა მხოლოდ ტექსტილში, არამედ სხვადასხვა მასალაშიც. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები, მოზაიკის მყარი ფორმებით, მის ისტორიულ განვითარებას გადმოსცემს და სიმბოლურ თემატიკას განაზოგადებს. საბჭოთა პერიოდის მოზაიკის ესთეტიკის შთაგონებითა და დღევანდელობის ეკლექტური მრავალშრიანობით, ავტორი ბუნებრივი ქვის მასალაში ეძიებს წარმოსახვით თუ სიზრმისეულ მოტივებს.

სუბიექტური, ინტროსპექტული მსოფლმხედველობა და სენსუა-



გვანცა ჯიშკარიანი



მარიანა ჭყონია



სოფო კობიძე







ლურ-მგრძნობელობითი  წარმოსახვა გამოარჩევს ნატა ვარაზის ფერწერულ ნამუშევრებს. ნატა ვარაზი „The Why Not გალერეის“ მიერ წარმოდგენილი მეორე ახალგაზრდა ხელოვანია, რომელიც, განსხვავებული ხელწერის მიუხედავად, გვანცა ჯიშკარიანის ნამუშევრებთან ერთ მთლიან, სივრცულ დიალოგში შევიდა. ნატა ვარაზი თვითნასწავლი არტისტია, რომელიც საკუთარ მკაფიო ინდივიდუალურ ხელწერას შინაგანი სამყაროსა და გარეგნული სოციალური კონტექსტების სინთეზით გადმოსცემს. პასტელური ფერებით შექმნილ კომპოზიციებში სიმბოლიზმი და პოსტსურეალისტური განწყობა ფიგურატიული და აბსტრაქტული დეტალების სინთეზით მიიღწევა. ფერის ჰაეროვანი ფაქტურულობა მკაფიო ვიზუალურ აქცენტს ქმნის და კომპოზიციაში სიმბოლურ თხრობას ავითარებს. ქალის თმა, ვარდისფრის დომინაცია, ფემინური მგრძნობელობა - არაცალსახა, კრებითი მინიშნებებია იმ კომპლექსურ მოცემულობაზე, რომელსაც არტისტი საკუთარი ფანტაზიისა და წარმოსახვის პრიზმაში ატარებს.

ქალის როლი არა გენდერული, არამედ მხატვრული კვლევის საგანია ახალგაზრდა ხელოვანის, თამარ ნადირაძის, შემოქმედებაშიც, რომლის ბოლო პერიოდის ფერწერულ სერიას გამოფენაზე „გალერეა 4710“ წარადგენდა. თამარ ნადირაძის ნამუშევრები ისეთ მძიმე სოციალურ თემატიკას ეხმიანება, როგორიცაა ფემიციდი, ქალზე ძალადობა, წნეხი, რომელსაც პატრიარქალური სამყარო ყოველდღიურად აყალიბებს. მძიმე სოციალური კონტექსტის მიუხედავად, ნამუშევრები გამორჩეული პოეტური რეალიზმით არის განმსჭვალული. ფერწერული კომპოზიციიების დეტალები, ფერის სიღრმე და ფიგურები ნიუანსური დამუშავებით გამოირჩევა. ქალის კაბის დრაპირება და მასშტაბი თუ გატეხილი ქოთნიდან დაცვენილი ყვავილებიც – სევდის, სისასტიკის, ტკივილისა და შიშის განცდას ბადებს და მაყურებელს ემპათიური დაკვირვებისა და თანაგრძნობისაკენ უბიძგებს.

„გალერეა 4710“-მა გამოფენაზე წარადგინა ასევე ახალგაზრდა ხელოვანი, მერაბ გუგუნაშვილი, რომლის თიხის სკულპტურებიც, სურეალიზმისა და ფიგურატიულობის პოეტური შეგრძნებით, იდენტობის ფართო სპექტრს წარმოაჩენდა. გუგუნაშვილის მცირე ზომის თიხის ობიექტებში ფიგურები დეტალიზებულია. ადამიანის, ცხოველისა თუ ბუნების ფრაგმენტები ახალი მთლიანობის ელემენტებად წარმოგვიდგებიან. ინდივიდუალური მგრძნობელობით, მასალის ემოციური გაანალიზებით, ფერისა და ფორმის მთლიანობით, მერაბ გუგუნაშვილი იდენტობის საკითხების ფართო მეტაფორას ქმნის, სადაც არაბინარულობა სხეულის ადამიანურ და არაადამიანურ საწყისებს აერთიანებს.



**მერაბ გუგუნაშვილი**

ანუკ ბელუგა



გიორგი ხანიაშვილი



ავტორისეული ძიებისა და გარემოზე დაკვირვების ინტროსპექციის საინტერესო მაგალითია ლიზა ქვანიას კურატორობით გალერეა “მაუდის” მიერ შერჩეული ავტორები: გიორგი ხანიაშვილი და ანუკ ბელუგა. საგანი და ფიგურა ხანიაშვილის ფერწერაში, კადრირების პრინციპით, გარემოს განსხვავებულ პერსპექტივებს ასახავს. გიორგი ხანიაშვილი ფართო საზოგადოებისათვის, მეტწილად, ხის სკულპტურების სერიით არის ცნობილი. „მაუდის“ მიერ წარმოდგენილი ფერწერული სერია ავტორს სხვა რაკურსით წარმოაჩენს. სერიის ერთ-ერთ ნამუშევარში ახლო ხედით ფეხსაცმელზე დამიზნებული ჩაქუჩია გამოსახული, რაც, კონკრეტული მომენტის დაფიქსირებასთან ერთად, კალეიდოსკოპურ სიმბოლურ ასოციაციებს აღძრავს და ბრუტალობის პარადოქსებზე გვაფიქრებს.

თვითდაკვირვებისა და, იმავდროულად, გარემოს განზოგადების საგულისხმო ნიმუშია ანუკ ბელუგას  ფერწერული ნამუშევარი (გალერეა „მაუდი“), რომლის ფოკუსშიც კითხვის პროცესია მოქცეული. ანუკ ბელუგა ქართულ სახელოვნებო სივრცეში არამეინსტრიმული და მკვეთრად განსხვავებული ხედვის მქონე ხელოვანია, რომელიც სათქმელს ფერით, ფორმითა და კომპოზიციური მთლიანობით გადმოგვცემს. ნამუშევრის ცენტრალური ფიგურა მკითხველი გოგონაა. პარალელურად, ვაკვირდებით იმ რეალობას, რომელშიც პერსონაჟი იმყოფება. მასში მთელი სისავსით შემოდის ოთახი, ინტერიერის დეტალები, საგნები. ეს მივიწყებული რომანტიკული ელეგიაა, მომენტის ერთგვარი გარინდება, რომელიც აჩქარებულ ინფორმაციულ სამყაროში თითქმის აღარ არსებობს.




გამოფენის მთავარი სახასიათო ელემენტი სტილისტური მრავალფეროვნება და ერთგვარი სიმბიოზური თხრობა იყო. გალერეა „სიეიჩ 64“-მა ორი განსხვავებული თაობისა და პრაქტიკის ხელოვანი - ნინიკო მორბედაძე და საბა გორგოძე - წარადგინა.

ნინიკო მორბედაძე, მაგიური რეალიზმით, არაცნობიერის იმ უხილავ საზღვრებთან ურთიერთობს, სადაც პერსონაჟები, სამყარო და საგნები ახალ განზომილებას იძენენ. მაგიური რეალიზმი, როგორც მიმართულება, მის ნამუშევრებში



**საბა გორგოძე**

სრულიად ახალი ფორმით მკვიდრდება. ხელოვა ნის  ნამუშევრებს კარგად იცნობს საერთაშორისო აუდიტორია. მისი ტილოები არაერთ კოლექციაშია დაცული.

ნინიკო მორბედაძის მაგიური რეალიზმი ერთგვარი კონტრასტული ფორმით განავრცო ფოტომ, როგორც აღბეჭდვის მედიუმმა. ახალგაზრდა ხელოვანის, საბა გორგოძის, შავთეთრი ფოტოგრაფია არარეალისტურ თხრობას ავითარებს და, მიუხედავად დოკუმენტალისტიკისა, საგნებსა და გარემოს განსხვავებულ რაკურსში აღბეჭდავს. შავ-თეთრი ფოტოსათვის დამახასიათებელი მისტიკურობა, გორგოძის ობიექტივში დაფიქსირებულ გარემოს ექსპერიმენტული სახვითობით ავსებს.

ექსპერიმენტი, როგორც მულტიმედიური გამოცდილება, გამოფენაზე სახელოვნებო კოლექტივის - Temple Pharmacy-ის ექსპოზიციის ყველა დეტალში გამოვლინდა. საექსპოზიციო სივრცე თავად იყო ერთიანი ნამუშევარი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ფოტო, ობიექ-















ტები, ავეჯი, ნაქარგობა და ვიდეო. თბილისს, როგორც დინამიკურ-ექსპანსიურ და ალტერნატიულ სივრცეს, ექსპოზიციაში მნახველი ერთდროულად ათვალიერებდა. ახალგაზრდა მუსიკოსის, მაქსიმე მაჩაიძის, ხელმძღვანელობით, კოლექტივმა თბილისის პერიფერიული ყოველდღიურობა წარმოგვიდგინა; ფოტოგრაფ მასუ მწარიაშვილის დოკუმენტური სერია ქალთა სუბკულტურის უხილავ დინამიკას გვიჩვენებს; სივრცეში აწყობილი ხელნაკეთი ავეჯი, ინტერიერის დეტალები, ხელოვან ანკა ბოჭორიშვილის დიზაინით შექმნილი ნაქარგები კი, ერთგვარი მიკროამბებია, რომლებიც არამეინსტრიმული სოციალური კონტექსტით არის ნასაზრდოები. მასუ მწარიაშვილის ქუჩის ფოტოგრაფია, სუბკულტურისა და ექსპერიმენტული ხელოვნების კონტექსტუალურ ჩვენებასთან ერთად, ძალადობრივი სამყაროს ერთგვარი ირონიული ეპიტაფიაც არის. სათამაშოდ ქცეული იარაღი, რეზინის ბურთის თავებით, ფუნქციაშეცვლილი არტეფაქტები, დიზაინისა და წარმოსახვის ანარქისტული ნაზავი, – უჩვეულო ცნობისმოყვარეობას, თამაშის მიმზიდველ მუხტს აღვივებდა.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ Tbilisi Independent-ის საგამოფენო სივრცე მრავალფეროვანი, განსხვავებული და ძლიერი ესთეტიკური მუხტით იყო დატვირთული. სწორედ ეს იყო გამოფენის მთავარი ამბავი. რთულია შეაჯამო ასეთი ტიპის ჯგუფური ინიციატივა, რომელიც ჩვენი თანადროული პროცესების მრავალ ასპექტს წარმოაჩენს. წარმოდგენილი თემები და სტილის მრავალფეროვნება მდინარის შენაკადებს ჰგავდა, რომელიც ერთ მოტივაციურ სათავეში იყრიდა თავს - ერთიანი ძალებით წარმოედგინა თანამედროვე ხელოვნება საქართველოდან. მიმდინარე პროცესების სრულად გადმოცემა შეუძლებელია, მაგრამ თავისი ეკლექტური ხასიათითა და უამრავი ენთუზიასტის ერთობლივი ძალისხმევით, იდეის ავტორებმა ეს ნამდვილად შეძლეს. ამ ინიციატივით, Tbilisi Independent-მა ერთგვარი პლატფორმა შექმნა, რომელზეც რეტროსპექტულად წარმოჩინდა სხვადასხვა თაობისა და გამოცდილების ხელოვანთა შემოქმედება და საქართველოში მიმდინარე პროცესები, რაც ქმნის და აყალიბებს იმ ისტორიულ-კულტურულ ლანდშაფტს, რომელშიც ქართული თანამედროვე ხელოვნება ვითარდება და სადაც ყველაზე უკეთ ვლინდება მისი მრავალშრიანი პოტენციალი.



REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

BLOG BY ART HISTORIAN

TBILISI INDEPENDENT, a collaboration of five independent galleries —"E.A. Shared Space," "Maudi," "Gallery 4710," "CH 64," and "The Why Not Gallery"—has embarked on an initiative within the permanent gallery space of Frieze in London.

This artistic endeavor was carried out in cooperation with Reach Art Visual (RAV). Marking Georgian contemporary art on the international artistic map, particularly in London, one of the most dynamic spaces for contemporary art, is a significant milestone.

The exhibition featured works by artists from various generations and artistic visions, including Aleksandre Bandzeladze, Lia Bagrationi, Anuk Beluga, Saba Gorgodze, Merab Gugunashvili, Nata Varazi, Niniko Morbedadze, Tamar Nadiradze, Tamuna Sirbiladze, Gvantsa Jishkariani, Giorgi Khanishvili, Mariana Chkonia, and the art collective Temple Pharmacy.

What does modern art reveal about a country undergoing a turbulent phase of socio-political transformation? Georgia's recent history, marked by the restoration of statehood after 70 years of Soviet isolation, has created an unstable environment in which society must evolve. Over time, art has reflected these realities with varying sensibilities and aesthetics. Often serving as a form of rebellion, art seeks self-discovery and the establishment of new relationships with the world and its perceptions, encompassing a wide range of aesthetics, cognition, and sensations. Tbilisi Independent, with its eclectic character, echoed the broader cultural dynamics of the country while presenting the work of artists selected by independent galleries from their own distinct perspectives.

MARIAM SHERGELASHVILI

# TBILISI INDEPENDENT



In the first space of the gallery RAV presented different periods of Georgian abstractionism. The art of Aleksandre Bandzeladze, Tamuna Sirbiladze and Lia Bagrationi was presented in an academic format with works preserved in private collections. Aleksandre Bandzeladze, as one of the innovators of Georgian abstract painting, was presented in 1989 with two large-scale works. Bandzeladze's work began in the 1960s, during the Soviet period. Rebellion against censorship and Soviet ideology was manifested in different forms in his work. Bandzeladze has a prominent role in the experimental initiatives of the 1980s. He informally led a group of young artists of that period, who greatly contributed to the development of Georgian alternative art. Bandzeladze's creative vision and style are surprisingly broad. It is interesting to observe how non-figurative compositions gradually develop in his work, how subject motifs are gradually deconstructed. Since the 1980s, we can see a fully developed sense of color in Bandzeladze's abstract works. The artist's works from this period are preserved in such important collections as, for example, the Zimmerli Museum (Rutgers University, USA). Bandzeladze's non-figurative paintings made in the late 1980s are the phase of search and observation in the artist's work, which is distinguished by a deep, soft flow of color. One of the outstanding examples of this period and style, "The Drunken Noah's Dream", which was presented in the exhibition, shows the inspiration caused by religious motifs. The work goes beyond the narrative or biblical interpretation and presents the imaginary layers of abstraction with Bandzeladze's vision.

Tamuna Sirbiladze's series of paintings, which were made in 2015, shortly before the artist's death, represented a kind of experience of abstraction as playing with invisible, intuitive layers. Tamuna Sirbiladze received her education at the Tbilisi State Art Academy. Later, she continued her work in Europe, namely in Vienna; In 2003, she graduated from the Faculty of Fine Arts of the Academy of Vienna, where her teacher was Franz Graf; She also studied at the Slade School of Fine Arts in London. Sirbiladze's artistic work is characterized by a unique style of abstraction. It combines



expressive dynamism and intimate sensitivity of form and color. Sirbiladze often momentarily aestheticizes sexuality, fragile inner feelings. The works from the late period presented at the exhibition from the collection of the Sirbiladze family are delicate, procedurally continuous paintings made on non-stretchable canvas, in which the harmonious connection of abstraction with human emotional depths is depicted.

A completely different sensibility of abstraction is presented in the 2022-2023 series by contemporary visual artist Lia Bagrationi. This series offers a subjective analysis of the historical and artistic experience of abstraction, focusing on color and landscape. In "View from My Window," Bagrationi's personal aesthetic observations connect her studio environment with the surrounding landscape. Variations of clear, contrasting colors are intimately tied to the moods and inner perceptions that shape Bagrationi's unique concept. The





window, serving as a boundary to the horizon, spills onto the canvas, creating kaleidoscopic, abstract landscapes born from the artist's boundless imagination. With a delicate sensitivity to color, Bagrationi — whose primary medium is clay — this time conveys her perspective on the environment through painting. Alongside her paintings, the exhibition also featured early series of her clay objects, such as "Decadence" and "Mirror Reflections of Vanished Cities." In these clay sculptures, the artist imbues the material with abstract forms, rendering her work in a spatial and metaphorical context.

Abstractionism, as both a vision and an aesthetic approach, was one of the central themes of the exhibition, further explored in the works of the young artist Sopo Kobidze, presented by the "Maudi" gallery. Kobidze, a graduate of the Tbilisi State Academy of Arts, actively works across various mediums. The exhibition featured abstract works created by her in 2022, which stand out for their uniqueness. In these pieces, the gradation of tone and color is both subtle and voluminous. The transformation of colors, depth, and a certain liveliness are conveyed with remarkable sensitivity, evoking images of moraines or igneous rocks where archaism and modernity intertwine.

Texture and the relationship with material as a natural substance are central to the textile works of Mariana Chkhonia, exhibited by "E.A. Shared Space." Chkhonia's large-scale felt fabrics reflect the essential relationship between color and form as part of the abstract process. Created using traditional dry and wet felting techniques,




# FRIEZE

these textiles emphasize spatial dimensions and tactile qualities. The artist explores the boundaries of materiality, working with wool and raw silk. Her tactile investigations highlight the inherent qualities of these materials while presenting the fabric as sculptural wall objects. Chkhonia's works conceptualize the traditional technique of felt-making, based on a nuanced study of texture, form, and space.

The traditional medium of felt is reimagined with an experimental approach by young artist and gallerist Gvantsa Jishkariani, co-founder of "The Why Not Gallery" and a co-organizer and participant of Tbilisi Independent. Her work, "A Beautiful World with You" (2023), conveys surrealistic motifs enhanced by organic, colorful visual accents. Jishkariani employs both Georgian and Merino wool in his felt creations, awakening an inner world where fantasy and reality converge in a playful interplay of characters. The vibrant colors and soft contours invite the viewer into a personal, almost mystical narrative that embodies the artist's emotions and imaginative exploration. Jishkariani's multimedia experiments extend beyond textiles to various materials, with her works at the exhibition also featuring solid mosaic forms that reflect historical development and encapsulate symbolic themes. Drawing inspiration from Soviet-era mosaic aesthetics and the eclectic, multilayered nature of contemporary times, the artist seeks imaginative and emotional motifs within the medium of natural stone.

Nata Varazi's paintings are distinguished by a subjective, introspective worldview and a sensuous imagination. Represented by "The Why Not Gallery" alongside Jishkariani, Varazi's work, though different in style, engages in a cohesive spatial dialogue with his. A self-taught artist, Varazi synthesizes her inner world with external social contexts to create a distinct, individual expression.





Her compositions, rendered in pastel colors, achieve a symbolic and post-surrealist mood through a synthesis of figurative and abstract elements. The airy texture of her color application creates sharp visual accents and develops symbolic narratives within the compositions. Elements such as women's hair, the dominance of pink, and a feminine sensibility serve as complex, collective references to the intricate situations Varazi explores through the prism of her fantasy and imagination.

The role of women is not approached as a gender issue but as a subject of artistic inquiry in the work of young artist Tamar Nadiradze, whose recent painting series was presented at "Gallery 4710." Nadiradze's works confront serious social issues such as femicide, violence against women, and the pressures imposed by a patriarchal society. Despite the challenging social context, her paintings are imbued with exceptional poetic realism. The detailed treatment of pictorial compositions, the depth of color, and the nuanced portrayal of figures—such as the draping of a woman's dress or the flowers falling from a broken pot—evoke feelings of sadness, cruelty, pain, and fear, prompting the viewer to engage with the work empathetically.

"Gallery 4710" also showcased the work of young artist Merab Gugunashvili, whose clay sculptures, infused with a poetic sense of surrealism and figurativeness, explored a broad spectrum of identity. Gugunashvili's detailed figures in small clay objects present a unique synthesis of human, animal, and natural fragments, forming elements of a new, cohesive whole. Through his individual sensitivity, emotional analysis of material, and the integration of color and form, Gugunashvili crafts a profound metaphor for identity issues, where non-binary elements blend the human and non-human origins of the body.







The exhibition also featured compelling examples of environmental introspection and personal exploration by artists selected and curated by Liza Zhvania - founder of “Maudi” gallery: Giorgi Khaniashvili and Anuk Beluga. In Khanashvili's paintings, subject and figure are framed in ways that reflect different perspectives of the environment. Although Khaniashvili is primarily known for his series of wooden sculptures, the painting series presented by "Maudi" reveals another dimension of his artistic expression. One notable work in the series depicts a hammer poised to strike a shoe, capturing a specific moment while evoking kaleidoscopic symbolic associations that invite reflection on the paradoxes of brutality.

Anuk Beluga's paintings, also presented by "Maudi," exemplify self-observation and environmental generalization, with a particular focus on the act of reading. Beluga, an artist with a non-mainstream and distinct vision within the Georgian artistic landscape, conveys her message through a harmonious blend of color, form, and compositional integrity. The central figure in her work is a reading girl, surrounded by a fully realized reality. The room, interior details, and objects are rendered in their




entirety, creating a forgotten romantic elegy—a capture of a moment that seems almost extinct in today's fast-paced information world.

The main characteristic element of the exhibition was its stylistic diversity and a symbiotic narrative that wove together varied artistic practices. "CH 64" gallery showcased the work of two artists from different generations and practices—Niniko Morbedadze and Saba Gorgodze.

Niniko Morbedadze, through the lens of magical realism, explores the invisible boundaries of the unconscious, where characters, the world, and objects acquire new dimensions. In her works, magical realism emerges in a completely novel form, engaging with the surreal in a way that has garnered international recognition. Her canvases are held in numerous collections worldwide.

The contrast to Morbedadze's magical realism was found in the black-and-white photography of the young artist Saba Gorgodze. Though documentary in nature, Gorgodze's photography develops an unrealistic narrative, capturing objects and environments from an altered perspective. The mysticism inherent in black-and-white photography complements the scenes captured by Gorgodze's lens, infusing them with an experimental elegance.

Experimentation as a multimedia experience was evident in every aspect of the exhibition by the artistic collective Temple Pharmacy. The exhibition space itself became a unified artwork, incorporating photography, objects, furniture, embroidery, and video, all reflecting Tbilisi as a dynamic and expansive alternative space. Led by young musician Maxime Machaidze, the group presented a vivid portrayal of Tbilisi's peripheral daily life. Photographer Masu Mtsariashvili's documentary series illuminated the unseen dynamics of women's subculture, while the hand-made furniture, interior details, and embroideries designed by artist Anka Bochorishvili conveyed micro-stories nourished by a non-mainstream social context.

Mtsariashvili's street photography, with its focus on





subculture and experimental art, also served as an ironic epitaph to the violence of the world. The transformation of guns into toys, with rubber ball heads and repurposed artifacts, alongside the anarchic mix of design and imagination, stirred an unusual curiosity and an appealing charge of playful subversion.

Finally, it must be noted that the exhibition space of Tbilisi Independent was imbued with a diverse and potent aesthetic energy. This was the central narrative of the exhibition. Summarizing such a group initiative is challenging, as it encapsulated many facets of our contemporary artistic processes. The themes presented and the diversity of styles were like tributaries of a river, converging into a single motivational source—an effort to present modern art from Georgia with united strength. While it is impossible to fully capture the complexity of the ongoing processes, the eclectic nature of the exhibition, combined with the collective efforts of many passionate individuals, truly succeeded in this endeavor.

Through this initiative, Tbilisi Independent established a platform where the works of artists from different generations and backgrounds were showcased, along with the evolving artistic processes in Georgia. This exhibition not only highlighted but also contributed to shaping the historical and cultural landscape in which Georgian modern art thrives, revealing its rich and multi-layered potential.








# Tbilisi Independent

## ორგანიზატორი გალერეები

# Organizing Galleries





# Ch64



**სალომე პაპაშვილი,**
Ch64 გალერეის დამფუძნებელი

ნინიკო მორბედაძისა და საბა გორგოძის ნამუშევრების წარდგენა ფრიზის No.9 Cork Street-ზე, რომელიც ლონდონის ცენტრში, ხელოვნების ისტორიით მდიდარ ადგილას, სამეფო ხელოვნების აკადემიიდან სულ რამდენიმე ნაბიჯში მდებარეობს, უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო როგორც თავად არტისტების, ასევე - „სიეიჩ64" გალერეისათვის. Tbilisi Independent-ის გამოფენაში მონაწილეობა, თბილისის სახელოვნებო წრეების წარმომადგენელ შესანიშნავ ქალბატონებთან ერთად, სწავლისა და გამოცდილების გაზიარების საუცხოო შესაძლებლობა იყო. ბოლო ათი წლის განმავლობაში, ქალაქში თანამედროვე ხელოვნებაზე მომუშავე ბევრი გალერეა გაიხსნა, რაც ხელს უწყობს ქართველი არტისტების ყველა თაობის უკეთ წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე. ქართველ ხელოვანთა პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით, ხელს უწყობს არა მხოლოდ არტისტების, არამედ - ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლებასაც. საერთაშორისო ხელოვნების სამყაროს ყურადღების ცენტრში ყოფნა შესაძლებლობას იძლევა, სათანადოდ წარმოჩინდეს საქართველო, როგორც უზარმაზარი შემოქმედებითი პოტენციალის ქვეყანა, რასაც ის, გადარჩენისათვის გამუდმებული ბრძოლის მიუხედავად, საუკუნეების მანძილზე წარმატებით ახერხებდა.

ნინიკო მორბედაძის შემოქმედების ლონდონში გამოფენა დიდი ხანია მინდოდა და როდესაც ეს შესაძლებლობა გაჩნდა, ვიმსჯელეთ, რომელი ნამუშევრების წარდგენა იქნებოდა სწორი მოცემულ სივრცესა და კონტექსტში. ამ გამოფენამდე, ნიუ-იორკში, ერთთვიან ჯგუფურ გამოფენაზე, გვანცა ჯიშკარიანისა და მიშიკო სულაკაურის ნამუშევრებთან ერთად, ნინიკოს სამი დიდი ტილო გვქონდა წარმოდგენილი. ბოლო წლებში ნინიკო ძირითადად ტილოზე მუშაობს, თუმცა ლონდონისათვის მან გადაწყვიტა, დაბრუნებოდა გრაფიკულ ხელოვნებას და შეექმნა მსუბუქი ნამუშევრები ქაღალდზე, ფერის მინიმალური გამოყენებითა და მეტი აქცენტით ტუშზე. მის შემოქმედებაში ხშირად ვხვდე-ბით ცხოველებს - ძაღლებს ან ველურ კატებს - ფიგურებით დატვირთული სცენების შუაგულში. ამჯერად მან მინიმალისტური კომპოზიცია აირჩია და ყურადღება ცხოველებსა და მათ პატრონებზე გაამახვილა. რადგან გაერთიანებულ სამეფოში ცხოველების მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევიან, ვიცოდი, რომ ეს ნამუშევრები ლონდონში ნინიკოს პირველი გამოფენისათვის იდეალური იქნებოდა. დამთვალიერებლების გამოხმაურებამაც ცხადყო, რომ ისინი სწორად შეირჩა.

ფრიზის No.9 Cork Street-ზე **საბა გორგოძის** ნამუშევრების გამოფენის გადაწყვეტილებას დიდი ფიქრი არ დასჭირვებია. იანვარში „სიეიჩ64" გალერეაში წარმოვადგინეთ მისი პირველი პერსონალური გამოფენა - „608 სერია" და მისმა მსოფლაღქმამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მინდოდა, რომ ლონდონელ დამთვალიერებელსაც მისცემოდა შანსი, სამყარო საბას თვალით დაენახათ. საბას და ნინიკოს ნამუშევრები კარგად შეერწყა ერთმანეთს, რადგან, ერთი შეხვედვით, ორივე თავშეკავებული და მშვიდია, თუმცა, უფრო ხანგრძლივი დაკვირვების შემთხვევაში, დამთვარიელებლის წინაშე სრულიად სხვა, სიღრმისეული სამყაროები იშლება.


FRIEZE
NO.9 CORK STREET
ROOMS
TBILISI independent
E.A Shared Space, Gallery 4710, The Why Not Gallery, MAUDI, CH64 Gallery and Reach Art Visual
Lia Bagrationi, Alexander Bandzleadze, Anuk Beluga, Mariana Chkonia, Saba Gorgodze,
Merab Gugunashvili, Gvantsa Jishkariani, Sopho Kobidze, Giorgi Khaniashvili, Niniko Morbedadze,
Tamar Nadiradze, Tamuna Sirbiladze, Nata Varazi, Temple Pharmacy
12-27 July



საბა გორგოძე მის “608 სერიას” ერთი წინადადებით ახასიათებს:

> “არტისტი იბრმავებს თავს იმისთვის, რომ გააიდეალუროს ავტორი

“608 სერია” 42 ნამუშევრისაგან შედგება. ლონდონში აღნიშნული სერიიდან ოთხი ნამუშევარი გამოიფინა. სანამ სამყარო იდეალურობას მიაღწევს, ის არსებობს, როგორც ხარვეზებით სავსე სიმულაცია. არტისტმა, ხუთწლიანი დაკვირვების შედეგად, აღმოაჩინა და ფირზე დააფიქსირა ის ცდომილობები, რომლებიც ყოველდღიურობაში იმალება. ფოტოების სერია გვიჩვენებს სამყაროს ბეტასიმულაციის რეჟიმში და ამ პროცესის თანმდევ შეცდომებს. ფოტოებზე აღბეჭდილი მომენტების დიდ ნაწილი ადამიანის ქმედებების შედეგი ან შემთხვევითობაა.

**ნინიკო მორბედაძე** თავის სერიაზე “ჩვენ გვიყვარს ცხოველები”

“ცხოველები უკიდეგანო სიყვარულს გასცემენ. როცა ისინი გვიყვარს, თავადაც ათმაგად გვიბრუნებენ სიყვარულს. მათი სიყვარული გულრწფელი და ნამდვილია. მათი სიყვარული ჩვენთვის ვიტამინებივითაა. ზოგადად, სიყვარული ადამიანებისა და ცხოველებისთვისაც ვიტამინებია. ძაღლებს განსაკუთრებით, მაგრამ კატებსა და ჩიტებსაც, ასევე ნებისმიერ ცხოველს, რომელთანაც ვურთიერთობთ, უდიდესი სიყვარული შეუძლიათ. არ ვიცი ჩვენს გარეშე, ბუნებრივ გარემოში, როგორ ცხოვრობენ, თუმცა, როდესაც ჩვენთან ურთიერთობენ, მათგან სიყვარულს ვიღებთ და ჩვენც გიყვარს ისინი. ამ ვიბრაციას გრძნობენ, ისრუტავენ და უკანვე გვიბრუნებენ.”



# Ch64

Presenting works by Niniko Morbedadze and Saba Gorgodze at Frieze No.9 Cork Street in the heart of London, in a place rich in art history and just a stone's throw away from the Royal Academy of Arts, is a priceless milestone for the artists and CH64 Gallery. Being part of *Tbilisi Independent*, alongside the impressive women from Tbilisi's art scene, was an excellent opportunity for learning and experience sharing. As galleries focusing on contemporary art have flourished in the city over the last decade, all generations of Georgian artists have gained more international recognition. Increasing the recognition of Georgian artists among foreign audiences benefits both the artists and the county by shining a light on the great creative powerhouse that Georgia is and has always been, in spite of or perhaps as a result of the never-ending fight for survival.

I have wanted to present Niniko Morbedadze's work in London for a long time. When the opportunity came, we discussed which works would best suit the space and the context we were exhibiting. This show followed a month-long pop-up in New York, where displayed her work with Gvantsa Jishkariani and Mishiko Sulakauri, and her pieces in that show were rather large paintings on canvas. She had been working on canvas for a few years, but for London, she chose to go back to her roots as a graphic artist and make works on paper, lighter pieces with less



pigment and more emphasis on ink work. While animals are often depicted in her works, with hounds or wild cats taking center stage amid characterful paintings, she chose to pare back the compositions and focus on more intimate scenes of interactions between animals and their respective humans this time. Knowing how much love people in the UK have for their pets, I thought this would be an excellent choice for Niniko's London debut. Visitor's feedback confirmed that this was the right choice.

Selecting **Saba Gorgodze's** work to be displayed alongside Niniko at Frieze No.9 Cork Street took little thought. We showed Saba's 608 Series as his first solo show at CH64 Gallery in January of this year, and I was captivated by his worldview and wanted the London public to witness it. His works complemented Niniko's because, at first glance, both of the artists' pieces we presented appear reserved and quiet, but as you focus and give them time, they bloom before you, opening up a whole new universe.

**SABA GORGODZE describes his "608 series" with a single line:**



> **Author blinds himself in order to perfect the master.**

The "608 series" include 42 images, four of which were displayed in London. Before the universe reaches its ultimate ideal state, it exists as a simulation with unavoidable defects glitches. The artist spent five years observing the world around him, looking for and capturing faults that were buried in plain sight. This exhibition features a series of photographs that depict the beta testing stage of life and the imperfections that lie within. Many of the images show the repercussions of human acts or mishaps.

## Niniko Morbedadze

on We Love Animals Series:

"Animals show us enormous love. We love them and they reciprocate. Their love is sincere and genuine. Their love is like vitamins to us. Love, like vitamins, is included throughout both people and animals. Dogs, in particular, but also cats, birds and all other creatures with which we coexist, are extremely loving. I am not sure how they survive in the wilderness, but I do know that when they are with us, we get love and we give them love, and they feel those vibrations, absorb them, and reflect them back to us."



**Text by SALOME PAPASHVILI**
*Founder of CH64 Gallery*

# THE WHY NOT გალერეა



‘Tbilisi Independent' საკმაოდ სპონტანურად შეესხა ხორცი, თუმცა ვიტყოდი, რომ ეს იდეა დიდი ხანია აქტუალურია ქართულ სახელოვნებო სცენაზე. შინაარსი კი იმაში მდგომარეობს, რომ გალერეები გავერთიანდეთ და ერთად უფრო მასშტაბური პროექტები ვაკეთოთ. ვფიქრობ თანამშრომლობა, ერთმანეთის დახმარება და წინ წაწევა აუცილებელია, მით უმეტეს როდესაც ასეთ პატარა სცენაზეა საუბარი და ამდენ გამოწვევაზე, რაც ქართულ თანამედროვე ხელოვნებას აქვს.

ძალიან მიხარია, რომ ამ ჩვენი ფანტასტიური და ერთობ ამბიციური იდეის დებიუტი შედგა ასეთ სასწაულ პლატფორმაზე ლონდონში Frieze Galleries'-ში.




ისევ და იქიდან გამომდინარე, თუ როგორი პატარაა ქართული თანამედროვე ხელოვნების სცენა, ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ხელოვნების საზღვრებს გარეთ წარდგენა. ვფიქრობ ამ მხრივ ქართველი ხელოვანებიც ძალიან გვიწყობენ ხელს და ქმნიან ხელოვნებას, რომელიც საერთაშორისოდ რელევანტური და საინტერესოა. ყოველწლიურად იზრდება დაინტერესება ქართული თანამედროვე ხელოვნების მიმართ, სულ უფრო და უფრო მეტი კურატორი თუ მუზეუმის თანამშრომელი მოგზაურობს საქართველოში. ამასთანავე სულ უფრო მეტი და მრავალფეროვანი შემოთავაზებებია გამოფენებსა თუ ბაზრობებზე მონაწილეობის მისაღებად. ზუსტად ამ დაკვირვებებზე დამყარებით ვმუშაობთ თბილისის გალერეები ასე თავდადებულად, იმიტომ რომ ამხელა ინტე-რესსა და პოტენციალს ვხედავთ.

Tbilisi Independent პირველი პროექტისთვის გადავწყვიტეთ გამოგვეფინა ხელოვანები გვანცა ჯიშკარიანი და ნატა ვარაზი. სივრცე ისე გადანაწილდა თითქოს მიკრო დუო შოუ გამოვიდა. საინტერესო იყო ამ ორი ერთი შეხედ-

ვით სრულიად განსხვავებული ხელოვანის შორის კავშირების გაბმა და დიალოგის აწყობა. თემები, რომლის გარშემოც ვტრიალებდით იყო ფემინურობა, ეფემერულობა, მოწყვლადობა და ამ გულწრფელობაში ნაპოვნი სიძლიერე. სიზმრისეული ალუზიები, რეფერენსები სურეალიზმთან, მცდელობა ლამაზისა და მშვენიერის აღბეჭდვის, ერთგვარი ჯადოსნურობის განცდის მოხელთება აღმოჩნდა ის გამაერთიანებელი განცდები, რითიც ამ ორი შემოქმედის ნამუშევრები ასე ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს.

ექსპოზიციაზე მასალების ასეთი მრავალფეროვნება ვფიქრობ გაბედული გადაწყვეტილება იყო, თუმცა კარგად წარმოაჩენს ხელოვანებს და ამავდროულად გალერეის ხელწერაცაა.

## ელენე კაპანაძე, The Why Not Gallery-ის თანადამფუძნებელი



**Tbilisi Independent** ჯგუფურ გამოფენაზე გალერეის მიერ წარდგენილი ხელოვანების შესახებ:

# გვანცა ჯიშკარიანი

(1991,რუსთავი) მულტიმედია ხელოვანი და კურატორია. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი (2013), შემდეგ გაიარა არაფორმალური სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე ხელოვნების ცენტრ - “თბილისში“(2015).

ჯიშკარიანის მხატვრული პრაქტიკა მოიცავს სხვადასხვა ინტერესებს, საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობიდან საბჭოთა პროპაგანდისტული ხელოვნების გავლენებამდე. ის იკვლევს წარსულიდან დარჩენილ ანაბეჭდებს და თამაშობს დღევანდელი და ხვალინდელი დღის სურათებსა და გავლენებზე. მხატვარი ხშირად იყენებს იუმორს ღრმად პირადი და ძალიან აქტუალური თემების განსახილველად.

დაბადებული ქვეყნის დამოუკიდებლობის წელს, ხელოვანი გაიზარდა უაღრესად ტურბულენტურ გარემოში, რომელსაც ახასიათებდა ყველანაირი ქაოსი და გაჭირვება. როგორც ხელოვანი, ის ხშირად იკვლევს ამ გამოცდილებას, რამაც განსაზღვრა არა მხოლოდ მისი პირადი მოგზაურობა, არამედ მისი სამშობლოს კოლექტიური ნარატივი. თავის ნამუშევრებში გვანცა იკვლევს საეჭვო სიტუაციებსა და უკიდურესი დაუცველობის განცდებს, ამავდროულად ავლენს საოცარ გამძლეობას ამ სენსიტიურობებზე ნავიგირებისას.

ჯიშკარიანი ხშირად იფინება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის ნიუ-იორკში, მიუნხენში, ბრიუსელში, ვენაში, პრაღაში, ციურიხში, ვარშავაში, ნეაპოლში. 2021 წელს მას გადაეცა Prince Claus foundation Seed award. 2020 წელს იყო არჩეული Forbes 30 under ჩამონათვალში. 2019 წელს NARS Foundation Studio Grant, ნიუ იორკი და 2017 წელს ხელოვანმა მიიღო წინანდლის პრემია ვიზუალურ ხელოვნებაში.







მისი ნამუშევრები არის მრავალი ცნობილი კერძო და საჯარო ხელოვნების კოლექციების ნაწილი, როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო, მათ შორის: Alain Servais Collection, Collezione Taurisano, UAE-ს სამეფო ოჯახის კოლექცია, TBC Bank კოლექცია, ვასილი წერეთლის კოლექცია, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, საქართველო და სხვა.

გარდა შემოქმედებითი პრაქტიკისა, ჯიშკარიანს არანაკლებ აქტიური კურატორული კარიერა აქვს. ის არის თბილისში დაფუძნებული გალერეების PATARA Gallery (2017) და The Why Not Gallery (2018) თანადამფუძნებელი, რომელიც მიმართულია ახალგაზრდა ხელოვანების მხარდაჭერაზე. იგი კურირებდა თბილისის ფოტოფესტივალის ფოტოგრაფიის ღამეს (2017-18-19). ჯიშკარიანი იყო ხელოვნებისა და მოდის პირველი თანამედროვე ქართული ჟურნალის „გარგარის“ დამფუძნებელი (2013-18).

# ნატა ვარაზი



ნატა ვარაზი (1991, თბილისი) ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვარია, რომლის მოგზაურობა ხელოვნების სამყაროში მისი თავდადებისა და ვნების დასტურია. პროფესიით იურისტი, ნატას ვიზუალური ენა, რომელიც ასე აშკარად ჩანს მის საქმიანობაში, ზედმიწევნით განვითარდა დაუღალავი ძალისხმევით და ხელობისადმი ურყევი ერთგულებით.

ვარაზის მხატვრული პერსპექტივა არ ისახავს მიზნად რეალობის აღბეჭდვას, არამედ ფანტასტიკურისა და ირაციონალურის გადათარგმნას ცდილობს. ეს სიურეალისტური გამოსახულებები აღბეჭდავს რეალიდან არარეალურში გადასვლის მომენტებს, ხშირად ასახავს განმეორებად ელემენტებს, გადმოსცემს პარალელური რეალობების ურთიერთკავშირს. ამ კავშირის სიმბოლოა ქსოვილის გამჭვირვალე ნაჭრები, რომლებიც ფრიალებს ქარში, რაც იწვევს უწონადობის განცდას, რომელიც გადის და ამყარებს ნახევრად ხილულ კავშირებს სივრცეებს შორის.




მის ნამუშევრებში აშკარაა ნატას ღრმა ინტერესი ხელოვნების ისტორიისადმი, განსაკუთრებით იგრძნობა სიურეალისტური მოძრაობის გავლენა. იგი უპრობლემოდ აერთიანებს შესაბამის აქტუალურ თემებსა და გამოხატვის ტრადიციულ ფორმებს, ქმნის უნიკალურ და დამაჯერებელ დიალოგს წარსულსა და აწმყოს შორის.

ნატა ვარაზის პირველი ნახატების საჯარო პრეზენტაცია შედგა 2022 წელს გალერეაში გამართულ **"Sorry, No Flowers Here"** ჩვენებაზე. 2024 წელს ნატას პირველი პერსონალური გამოფენა „რბილ ქსოვილში შემალული" ასევე გაიმართა **The Why Not Gallery.**

ვარაზის ნამუშევრები მრავალ მნიშვნელოვან კოლექციაშია, მათ შორის ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი, თბილისი.

# გალერეის შესახებ

# The Why Not Gallery



დაარსდა 2018 წელს ორი მეგობრის, ხელოვან და კურატორ გვანცა ჯიშკარიანის და კურატორ ელენე კაპანაძის მიერ. გალერეის შექმნის მიზანი იყო, რომ მხარი დაეჭირა ახალგაზრდა ქართველი ხელოვანებისთვის და წარედგინა ისინი ფართო აუდიტორიებისთვის. გალერეა ახალისებს ყველანაირ ექსპერიმენტსა და კრეატიულ მცდელობას. გუნდი მუშაობს, რომ წარმოადგინოს ხელოვნება, რომელიც თანამედროვეობას ასახავს - აქვს ძლიერი სათქმელი და ეხება რელევანტურ დისკუსიებს.

გალერეის პირველი ლოკაცია იყო ვიტრინა თბილისის ცენტრში, მიწისქვეშა გადასასვლელში. ხალხმრავალი მიწისქვეშა გადასასვლელი, სავსე ტანსაცმლის მაღაზიებით, პლასტმასის იაფი ნივთებით, რელიგიური აქსესუარებით, ბოსტნეულის და ხილის დახლებით, ყველაზე მოულოდნელი ადგილი იყო თანამედროვე ხელოვნების სანახავად. თუმცა ძალიან შესაფერისი იყო ქალაქისთვის, სადაც მუზეუმები მავზოლეუმებს გავს და ფართო საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს თანამედროვე ხელოვნება. ეს იყო მცდელობა ხელოვნება განთავისუფლებულიყო ელიტისტური კონოტაციებისგან და შემოჭრილიყო ბანალურ ყოველდღიურობაში.

გალერეის არსებობის მეორე წელს, იგი ნომადურ გალერეად გადაიქცა და მიზნად დაისახა ერთმანეთის მხარდაჭერისა და პარტნიორული კავშირების გაძლიერებაზე გაემახვილებინა ყურადღება. ხოლო 2020 წლიდან პირველ მუდმივ საგამოფენო სივრცეში დაიწყო ოპერირება.

2019 წელს გალერეამ დაიწყო პროექტი **The Why Not Gallery** საჩუქრების მაღაზია, რის ფარგლებშიც იგი თანამშრომლობს ქართველ ხელოვანებთან და მათთან კოლაბორაციაში აწარმოებს ლიმიტირებული რაოდენობის ნივთებს, ძირითადად სახლის დეკორატიულ პროდუქტებს. პროექტის მიზანია პოპულარიზაცია გაუკეთოს ახალგაზრდა ხელოვანებს, გაუჩინოს მათ დამატებითი შემოსავლის წყარო და გალერეას მისცეს საშუალება დააფინანსოს საკუთარი საგამოფენო პროგრამა.



# THE WHY NOT GALLERY

"Tbilisi Independent" quite spontaneously took shape, but I would say that this idea has long been relevant on the Georgian art scene. The essence lies in uniting galleries to create larger-scale projects together. I believe collaboration, supporting each other, and pushing forward are essential, especially when discussing such a small scene and the numerous challenges facing contemporary Georgian art.

I am very glad that our fantastic and quite ambitious idea made its debut on such a marvelous platform in London at "Frieze Galleries."

Considering how small the Georgian contemporary art scene is, it is crucial to present Georgian art beyond its borders. I think Georgian artists are also facilitating this and creating art that is internationally relevant and interesting. Each year, interest in contemporary Georgian art grows, with more and more curators and museum professionals travelling to Georgia. At the same time, there are increasingly diverse opportunities for participating in exhibitions and fairs. Based on these observations, we are working so devotedly with Tbilisi galleries because we see such great interest and potential.

For the first project of Tbilisi Independent, we decided to present artists **Gvanca Jishkariani** and **Nata Varazi**. The space was arranged in a way that created a micro duo show. It was interesting to establish connections and dialogue between these two seemingly completely different artists. The themes we revolved around included femininity, ephemerality, vulnerability, and the strength found in this sincerity. Dreamlike allusions, references to surrealism, and the attempt to capture beauty and the sense of magic turned out to be the unifying sensations that connected the works of these two creators so naturally.

I believe that the diversity of materials in the exhibition was a bold decision; however, it well represents the artists while also embodying the gallery's signature style.

## Elene Kapanadze,

co-founder of The Why Not Gallery

**About artists represented in the framework of Tbilisi Independent group show:**

# Gvantsa Jishkariani

(b.1991, Rustavi) is a multimedia artist and curator. She graduated from the Faculty of Architecture of the Tbilisi State Academy of Arts (2013), then completed her master's program in Creative Mediation at the CCA-Tbilisi (2015). Jishkariani is widely exhibited in Georgia as well as abroad including New York, Munich, Brussels, Vienna, Prague, Zurich, Munich, Warsaw, Naples among others. In 2021 she received Prince Claus Foundation Seed Awards. In 2020 she was selected for the Forbes 30 under 30 list, in 2019 she won the NARS Foundation Studio Grant, New York and in 2017 the artist received the Tsinandali Award in Visual Arts.

Jishkariani's artistic practice spans a range of interests, from the rich cultural heritage of Georgia to the influences of Soviet propagandistic art. She investigates imprints left from the past and plays with the images and influences of today and tomorrow. The artist often employs humour to address these deeply personal and highly relevant topics. Born in the same year as the country achieved its independence, she grew up in a highly turbulent environment, characterized by chaos and hardships of all kinds. As an artist, she frequently explores these experiences, which have not only shaped her personal journey but also the collective narrative of her homeland. In her artworks, Gvantsa delves into precarious situations and extreme vulnerability, while simultaneously demonstrating remarkable resilience in navigating these sensitivities.

Her works are part of numerous prominent private and public art collections Georgian as well as international, including: Alain Servais Collection, Collezione Taurisano, Royal family of UAE collection, TBC Bank Collection, Vasili Tsereteli Collection, The State Silk Museum, Georgia, among others.

Apart from her artistic practice, Jishkariani has an equally vibrant curatorial career. She is a co-founder of Tbilisi-based galleries PATARA Gallery (2017) and The Why Not Gallery (2018), dedicated to supporting young artists. She curated Tbilisi Photo Festival Night of Photography (2017, 2018, 2019). Jishkariani was the founder of the first contemporary Georgian magazine Gar-Gar on art and fashion (2013-18).





# Nata Varazi

(b. 1991 Tbilisi, Georgia) is a young self-taught painter whose journey into the art world is a testament to her dedication and passion. Lawyer by profession, Nata's visual language, so prominently evident in her work, was meticulously developed through tireless effort and an unwavering commitment to her craft.

Varazi's artistic perspective doesn't aim to depict reality but instead crafts dreamlike compositions rooted in the fantastical and irrational. These surreal depictions capture moments of transition from the real to the unreal, often portraying recurring elements like windows or fragmented walls, illustrating the interconnection of multiple parallel realities. Symbolizing this connection are transparent pieces of fabric fluttering in the wind, evoking a weightless, fluid quality that traverses and establishes semi-visible links between spaces.

In her artworks, Nata's deep interest in the art historical canon is evident, particularly the influences of the surrealist movement. She seamlessly fuses currently relevant themes with traditional forms of expression, creating a unique and compelling dialogue between the past and the present.

Nata Varazi's first public presentation of her paintings was at the 'Sorry, No Flowers Here' show held at The Why Not Gallery in 2022. In 2024, Nata's first solo exhibition, 'Hiding Within The Soft Surface', also took place at The Why Not Gallery. Varazi's artworks are held in numerous prominent collections including the Georgian Museum of Fine Arts, Tbilisi.

# About Gallery

The Why Not Gallery is a Tbilisi-based contemporary art gallery dedicated to supporting and promoting young Georgian artists. Founded in 2018, by friends and fellow colleagues artist Gvantsa Jishkariani and curator Ellen Kapanadze, the gallery was first conceived as an experimental not-for-profit project space that chose a vitrine in an underground passageway as its first location.

Dedicated to challenging the accepted norms and conventions, the gallery moved to its first permanent space in 2020 and started working on larger exhibitions program. Soon it established itself on the Georgian arts scene as the main destination for discovering exciting emerging Georgian artists. Providing full support, the gallery often organises the artists' first solo shows and acts as an instigator to their careers.

The gallery is dedicated to providing a platform for all sorts of experimentations and trials. In 2022 launched a new space, dedicated to more experimental projects that hosts a variety of creatives not limited to the field of visual arts.

Apart from the exhibition-making, the gallery also runs the project The Why Not Gift Shop, where it collaborates with artists and produces limited edition items. The collaborations translate the artists' practices in unexpected ways and result in affordable, yet unique finds. The project also provides additional source of income for the young artists and contributes to developing the scene.






4710

გალერეა 4710 არის თანამედროვე ხელოვნების გალერეა, რომელიც გაიხსნა 2019 წლის 27 სექტემბერს. გალერეა ძირითადად მუშაობს ახალგაზრდა ხელოვანებთან და მისი ფუნქციაა მათი აღმოჩენა და საზოგადოებისათვის გაცნობა. ტრადიციული გალერეის ფუნქციის გარდა, 4710 ასევე ფუნქციონირებს როგორც ექსპერიმენტული სივრცე და აორგანიზებს შესაბამის, ადგილ-სპეციფიკურ გამოფენებს. პირველი გა-

მოფენიდანვე, 4710 ორგანიზებას უწევს შეხვედრებსა და საუბრებს ხელოვანებთან ან სხვადასხვა ხელოვნების ისტორიკოსებთან, კრიტიკოსებთან და ა.შ.

2019 წლიდან გალერეამ წარმოადგინა რამდენიმე ხელოვანის პირველი პერსონალური ან ჯგუფური გამოფენა:

**თამარ ნადირაძე,**
**თორნიკე რობაქიძე,**
**მერაბ გუგუნაშვილი,**
**ალექსანდრე ბეგლარიშვილი,**
**თეიმურაზ ერისთავი,**
**თორნიკე გოგნაძე,**
**მარი ყალაბეგაშვილი,**
**ანკა ბოჭორიშვილი** და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გალერეა ძირითადად ახალგაზრდა ხელოვანებთან მუშაობს, წელიწადში რამდენჯერმე მასპინძლობს გამოფენების სერიას, სადაც სხვადასხვა თაობის ხელოვანები ჯგუფურ ან დუო გამოფენებში მონაწილეობენ. ამ სერიის გამოფენების ფარგლებში გალერეაში წარმოდგენილი იყვნენ: ნათელა იანქოშვილი, თეა გვეტაძე, თამუნა სირბილაძე, გიო სუმბაძე, ქეთი კაპანაძე, ვაჟიკო ჩაჩხიანი, ლეილა შელია და ნინო ქვრივიშვილი.

4710 წელიწადში ექვს ან შვიდ გამოფენას აწყობს, რაც ნიშნავს, რომ ყოველი 1.5 თვეში ახალი გამოფენა იხსნება.

4710-მა Tbilisi Independent ჯგუფური გამოფენის ფარგლებში ორი ხელოვანი - თამარ ნადირაძე და მერაბ გუგუნაშვილი წარმოადგინა.



## თამარ ნადირაძე

(1990) დაიბადა თბილისში, საქართველოში. მან განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (TSAA) და დაამთავრა დიზაინის ფაკულტეტი, სადაც მოიპოვა მაგისტრის ხარისხი მხატვრულ კერამიკაში. ის მუშაობს სხვადასხვა მედიაში, როგორიცაა კერამიკა, ტექსტილი, ფერწერა და ინსტალაცია. მისი ძირითადი თემებია სოციალური სტერეოტიპები, გენდერი, იდენტობა და სექსუალობა. ამჟამად ის ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, საქართველოში და მონაწილეობას იღებს, როგორც პერსონალურ, ასევე ჯგუფურ გამოფენებში.



## მერაბ გუგუნაშვილი

(1990) დაიბადა თბილისში, საქართველოში. მან განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (TSAA) და დაამთავრა დიზაინის ფაკულტეტი, სადაც მოიპოვა მაგისტრის ხარისხი მხატვრულ კერამიკაში. ის მუშაობს სხვადასხვა მედიაში, როგორიცაა კერამიკა, ტექსტილი, ფერწერა და ინსტალაცია. მისი ძირითადი თემებია სოციალური სტერეოტიპები, გენდერი, იდენტობა და სექსუალობა. ამჟამად ის ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, საქართველოში და მონაწილეობას იღებს, როგორც პერსონალურ, ასევე ჯგუფურ გამოფენებში.

# Tbilisi INDEPENDENT







Gallery 4710 is a contemporary art gallery that opened on September 27, 2019. The gallery mainly works with young artists and its function is to discover and introduce them to the public. In addition to the traditional gallery function, 4710 also functions as an experimental space and provides relevant, site-specific exhibitions. From the very beginning with the first exhibition, 4710 organizes meetings and conversations with artists or various art historians, critics, etc.

Since 2019, the gallery has presented the first solo or group shows of several artists in the gallery space: Tamar Nadiradze, Tornike Robakidze, Merab Gugunashvili, Aleksandre Beglarishvili, Teimuraz Eristavi, Tornike Gognadze, Mari Kalabegashvili, Anka Bochorishvili, etc.

Although the gallery mainly works with young artists, several times a year it hosts a series of exhibitions, where artists of different generations were exhibited in the form of group or duo shows. As part of the exhibitions of this series, the following artists were exhibited in the gallery: Natela Iankoshvili, Thea Gvetadze, Tamuna Sirbiladze, Gio Sumbadze, Keti Kapanadze, Vajiko Chachkhiani, Leila Shelia and Nino Kvrivishvili.

4710 organizes six or seven exhibitions a year, which means opening a new exhibition every 1.5 months.

4710 represented two artists - Merab Gugunashvili and Tamar Nadiradze in the framework of the Tbilisi Independent group exhibition.

**Merab Gugunashvili** - (1990) was born in Tbilisi, Georgia. He studied at Tbilisi State Academy of Art (TSAA), graduated from the faculty of Design with a master's degree in Artistic Ceramic. He works in different mediums, such as ceramics, textiles, painting and installation. His main themes include social stereotypes, gender, identity and sexuality. Currently he lives and works in Tbilisi, Georgia. He has participated in personal and group exhibitions.

**Tamar Nadiradze** (1991) is a visual artist who lives and works in Tbilisi. From 2014 to 2016, Tamar Nadiradze worked at the Art Book Center. She was a resident artist at KAIR art residency as a book illustrator (Kosice, Slovakia). The major focus of the artist's work relates to the following areas: the dialogue between social life and anthropology, mythology, psychology, as well as gender. Nadiradze primarily uses paper and watercolors as her media but she is working on diverse mediums.



## E.A. Shared Space

ე.ა. საზიარო სივრცე კურატორული პროექტია. ის ქმნის სივრცეს გამოფენების, ჩვენებების, კითხვის, კოლექტიური თარგმნის სესიებისთვის,ასევე ონლაინ და პირადი შეხვედრებისთვის. ამჟამად სივრცეში კურირებული ზინების (ხელნაკეთი და ლიმიტირებული სახელოვნებო გამოცემების) კიოსკი, ორიენტირებულია თანამედროვე ზინების ჩვენებაზე, რომელთაც ქმნიან ხელოვანები და კრიტიკოსები. პროექტის მიზანია შექმნას დროებითი კურირებული ბიბლიოთეკა, რომელიც იქნება ხელმისაწვდომი ონლაინ და ფიზიკურად მრავალ ენაზე.

პროექტი მიზნად ისახავს შექმნას ნამუშევრები, რომლებიც ღრმად არის ჩართული ადგილობრივ კონტექსტში და აკავშირებს ადგილობრივ საზოგადოებას, იწვევს ადგილობრივ და საერთაშორისო ხელოვანებს, კურატორებს, მწერლებს, აქტივისტებს და სხვა კულტურის პროფესიონალებს, რათა ხელი შეუწყოს ცოდნის გაცვლას საერთაშორისო და ადგილობრივ აუდიტორიას შორის.

ე.ა. საზიარო სივრცე – სახელი მომდინარეობს კომუნალკების (საერთო ბინის) ტრადიციიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებობდა და სადაც თავდაპირველად პროექტი მდებარეობდა. ასევე, შთაგონებულია დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში სტუდენტების მიერ შექმნილი საცხოვრებელი პროექტებით, სადაც საცხოვრებელი სივრცეები იმ ადამიანების გასაზიარებლად გამოიყენებოდა, რომლებიც ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული და ხშირად უცნობები იყვნენ.

მდგრადობისთვის და იმის გამო, რომ არ არსებობს ისეთი ფონდები, რომლებიც მსგავს ინიციატივებს დააფინანსებდნენ, E.A. Shared Space თვითდაფინანსებით ფუნქციონირებს და მუშაობს როგორც გალერეა.

ე.ა. საზიარო სივრცემ ხელოვანი მარიანა ჭყონია წარადგინა Tbilisi Independent-ის ჯგუფურ გამოფენაზე.







# მარიანა ჭყონია

(დ. 1969) ქართველი ხელოვანია, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს თბილისში და ნუკრიანში – სოფელში, რომელიც მდებარეობს კახეთის რეგიონში, საქართველოში. მარიანა ჭყონიას ნამუშევრები დაფუძნებულია ტრადიციულ ქართულ და სამხრეთ კავკასიურ ქსოვილის ტექნიკებზე, როგორიცაა მშრალი და სველი თექა, ასევე ბუნებრივი პიგმენტების გამოყენება. მისი შემოქმედება აცოცხლებს ძველ ტრადიციებს, რომლებიც თითქმის გადაშენებული იყო საქართველოში, და ამით ავითარებს საკუთარ უნიკალურ მხატვრულ ენას. ჭყონიას არქიტექტურული განათლებით ფესვგადგმული ნამუშევრები სივრცობრივია: იგი აწყობს აბსტრაქტულ გეომეტრიულ ფორმებს არქიტექტონიკულ კომპოზიციებში, ასევე ქანდაკების ელემენტებს ამატებს ორგანზომილებიან ტექსტილურ ნამუშევრებს.



# E.A. Shared Space



# Mariana Chkonia

E.A. Shared Space is a curatorial project. It provides a space for making exhibitions, screenings, readings, collective translation session, meetings online and irl, meeting and departing.

At the moment it has a curated zine kiosk, which is oriented on showcasing contemporary zines made by artists and cultural workers of critical thought. The project aims at creating a temporary curated library, accessible online and irl in multiple languages.

The project aims at producing work, which is deeply invested within its local context and engages with the local community through inviting local and international artists, curators, writers, activists and other cultural workers in order to facilitate an exchange of knowledge between the international and local audiences.

E.A. Shared Space derives it's name from the tradition of Komunalkas (communal apartment) during ussr, which the space where the project is located, originally was. But it also is inspired by the living projects created by students in western european countries, where the living spaces turn into a space that is shared among people unrelated to one another, in fact, often strangers.

For sustainability and a lack of foundations who would potentially sponsor an initiative like this, E.A. Shared Space is self-sponsored and works as a gallery.

E.A. Shared space represented artist Mariana Chkonia in the framework of Tbilisi Independent

(b. 1969) is a Georgian artist living and working in Tbilisi and Nukriani – a village in Kakheti Region, Georgia. Based on traditional Georgian and South Caucasian fabric techniques such as dry and wet felting and the use of natural pigments, Chkonia's work revives ancient traditions that have almost died out in Georgia, thus developing her own unique artistic language. Rooted in her architectural background, Chkonia's work is spacious: assembling abstract geometrical forms into architectonic arrangements, while adding sculptural elements to the two-dimensional textile work.

თანამედროვე ხელოვნების სივრცე ხელოვანების მიერ დაარსებული არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც ლიზა ჟვანიამ, ლადო შონიამ და დიმიტრი ერისთავმა 2019 წელს დააფუძნეს. მათი მიზანი იყო აუდიო და ვიზუალური ექსპერიმენტებისთვის პლატფორმის შექმნა ადგილობრივი და საერთაშორისო ხელოვანებისთვის. სივრცე მდებარეობს ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე, დიდუბეში, თბილისის ინდუსტრიულ რაიონში, რაც ხელს უწყობს თბილისის ხელოვნების სცენის დეცენტრალიზაციას. შენობას გარს არტყია სავაჭრო ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელოსნოებს და სამშენებლო მასალებს, ხოლო მის ახლოს მდებარეობს ბაზარი და სატრანსპორტო კვანძი. Maudi-ს სივრცე მოიცავს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ზონას - შეკრებათა დარბაზს, დიდი საგამოფენო დარბაზს, პერფორმანსის სივრცეს, სახელოსნოსა და სტუდისა, რაც ხელოვანებს შესაძლებლობას აძლევს ადგილზე შექმნან ნამუშევრები.

Maudi ჯგუფურ გამოფენაზე Tbilisi Independent წარადგინა ხელოვანები: სოფო კობიძე, ანუკ ბელუგა და გიორგი ხანიაშვილი

# maudi







Summer 2024, London

FRIEZE

Tbilisi Independent Exhibition

# Giorgi Khaniashvili
# Sopho Kobidze
# Anuk Beluga




Maudi Contemporary Art Space is an artist-run non-profit organization located in Tbilisi. Liza Zhvania, Lado Shonia and Dimitri Eristavi founded Maudi in 2019. Their goal was to create a platform for audio and visual experimentation with local and international artists. The space is located on the territory of a former factory, in Didube, Tbilisi's industrial district, which contributes to the decentralization of Tbilisi's art scene. The building is surrounded by trade points supplying workshops and construction materials, and there is a market and a transport hub around it. Maudi's space includes several interconnected areas - a hall for gatherings, a large exhibition hall, a performance space, a workshop and a studio, allowing artists to create works on site.

At the Tbilisi Independent group exhibition, Maudi presented the artists: Sopho Kobidze, Anuk Beluga, and Giorgi Khaniashvili.

i STUDIO GRAPHIC DESIGN LABORATORY

# GIVE US A CALL. UNLESS YOUR COUSIN CAN DO IT

CORPORATE & CONSUMER BRANDING
MARKETING & ADVERTISING DESIGN
PUBLICATION DESIGN
PRINT DESIGN
CORPORATE DESIGN
PACKAGING DESIGN
PHOTOSESSION
WEB DESIGN
WEB DEVELOPMENT

**STAMBA HOTEL** - D Block E-04
14, M.Kostava St., Tbilisi, Georgia
+995 599 502 500
istudiolab.ge

REACH
art VISUAL
ART consulting
company

14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
+995 555 551 171
reachart.visual@gmail.com
@ReachArtConsulting
reachart.visual

COVER: London at Frieze N9 Cork Str.

| | |
|---|---|
| **Publishing and Concept** | - Thea Goguadze (Tea Nili) |
| **Art Historian** | - Mariam Shergelashvili |
| **Editor** | - Mariam Shergelashvili |
| **Design** | - Irina Kacharava - iStudio |
| **Translation and Editing** | - Ketevan Uchaneishvili, |
| **Consultant** | - Natia Ejoshvili |
| **Photo credits** | - Katarzyna Perlak<br>- All photos are provided by the contributors |

ყდაზე: ლონდონი, Frieze N9 Cork Str.

| | |
|---|---|
| გამომცემელი და კონცეფცია | - თეა გოგუაძე (თეა ნილი) |
| ხელოვნებათმცოდნე | - მარიამ შერგელაშვილი |
| რედაქტორი | - მარიამ შერგელაშვილი |
| დიზაინი | - ირინა კაჭარავა - iStudio |
| თარგმანი და კორექტურა | - ქეთევან უჩანეიშვილი, |
| კონსულტანტი: | - ნათია ეჯოშვილი |
| ფოტო | - კატარჟინა პერლაკი<br>- ყველა ფოტო მოწოდებულია კონტრიბუტორების მიერ |

# IMPRESSUM

## ბავლენა GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

## In cooperation with

I'STUDIO design

14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
+995 599 502 500
irina.kacharava1@gmail.com
@istudio
istudio_designs
www.istudiolab.ge

*This work, including its parts, is protected by copyright. None of the materials may be redistributed or reproduced, in whole or in part, in any formor by any means without the consent of the publisher and the author. This applies to electronicor manual reproduction, including photocopying, translation, distribution and other forms of public accessability*

ეს ნამუშევარი, ყველა ნაწილის ჩათვლით, დაცულია საავტორო უფლებებით. დაუშვებელია ნამუშევრის, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმით გამოყენება, გავრცელება, ან გადაღება გამომცემლისა და ავტორის თანხმობის გარეშე. ეს ეხება ელექტრონულ თუ მექანიკურ მეთოდებს, მათ შორის ფოტოასლის გადაღებას,თარგმანს, და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის სხვა ფორმებს.

Digital Publication - www. http://reachartvisual.com/
ISSN 2667-9728 (Online)
©Reach art Visual 2021
I/D 4045922295 - Georgia